პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 50 (10747) | ხუთშაბათი, 28 თებერვალი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს თბილისში იხსნება სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. თათბირი განიხილავს საკითხს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში გასული წლის მუშაობის შედეგებისა და 1957 წლის ამოცანების შესახებ.

მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებს!

ერთიანი ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის მუშაკთა საბრძოლო ამოცანები

ჩვენს რესპუბლიკაში დღითიდღე ჩაღდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, რომლის ინიციატორებად რუსთავის მეტალურგები და წითელწყაროელი კოლმეურნეები გამოვიდნენ. საქართველოს მშრომელთა მზარდი საწარმოო და პოლიტიკური აქტივობა მათი კონკრეტული პასუხია პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვაზე სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი. ამ ისტორიულ დოკუმენტებში შეჯამებულია ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე საბჭოთა ხალხის გმირული შრომის შედეგები, დასახულია უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც მიმდინარე სამეურნეო წელს უნდა იქნას გადაჭრილი.

სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულ სერიოზულ დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში დიდი როლი აკისრიათ სასოფლო პარტიულ ორგანიზაციებს.

ჩვენი რესპუბლიკის სასოფლო პარტიული ორგანიზაციების წინაშე დგას საბრძოლო ამოცანა უკვე მიმდინარე წელს მიაღწიონ საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრ აღმავლობას, წამოსწიონ ჩამორჩენილი რაიონები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მოწინავეთა დონემდე.

როგორც დეკემბერსა და იანვარში გამართულ რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე აღინიშნა, რესპუბლიკის სასოფლო პარტიულმა ორგანიზაციებმა ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებისათვის. მაგრამ, აფასებდნენ რა უკვე მოპოვებულ შედეგებს, დელეგატები ყურადღებას ამახვილებდნენ ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხებზე, პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. მწვავე კრიტიკა გაიშალა, მაგალითად, ზნაურის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, სადაც დელეგატებმა სამართლიანად უსაყვედურეს პარტიის რაიკომის მუშაკებს მასებთან სუსტი კავშირისათვის, მეურნეობისადმი ზერელე ხელმძღვანელობისათვის, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის დაბალი დონისათვის, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის. რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფმა მტს-ის ზონაში ვერ შეძლო გამოემუშავებინა მტს-ისა და კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის სწორი მეთოდები, სუსტად იბრძოდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად.

ასეთი ნაკლოვანებანი ცოტად თუ ბევრად დამახასიათებელია ზოგიერთი სხვა რაიონის სასოფლო პარტიული ორგანიზაციებისთვისაც.

პარტიული კონფერენციების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში დასახულია გამოსაკარაგებულ ნაკლოვანებათა დაძლევისა და შემდგომი წინსვლის გზები. ახლა საქმე ეხება იმას, რომ პრაქტიკულად განვამტკიცოთ ეს გადაწყვეტილებანი ცოცხალი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობით.

თავიანთ მომართვაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე დააყენეს მთელი რიგი კონკრეტული ამოცანები.

მიმდინარე წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპია საგაზაფხულო თესვა, რაც ზოგან შერჩევით დაიწყო და მალე მასობრივად გაჩაღდება. რედაქციაში არსებული მასალები ცხადყოფენ, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში სერიოზული ნაკლოვანებებია თესვისათვის მზადებაში. აქამდე საჭირო რაოდენობით არა აქვთ მარცვლეული და პარკოსანი კულტურების სათესლე ფონდები თიანეთის, ადიგენის, წულუკიძის, ონის, დმანისის და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობებს. დიდი რაოდენობით აკლიათ კარტოფილის თესლი ყვარლის რაიონში, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკებში. ზოგიერთ მტს-ში (სამთავისის, ბორჯომის, საჩხერის და სხვ.) ნელი ტემპით მიმდინარეობს ტრაქტორების რემონტი. ბევრგან ჩამორჩება ბაღებისა და ვენახების სამუშაოები, ნაკელის გატანა და სხვ. რა თქმა უნდა, ეს ნაკლოვანებანი საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საქმეში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების სუსტი მუშაობითაც აიხსნება.

მომდინარე წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის ინტერესები სასოფლო პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ყოველდღიურად უხელმძღვანელონ მინდვრის სამუშაოებისათვის მზადებას და მათს წარმატებით ჩატარებას, მიწათმოქმედების კულტურის ყოველი ღონისძიებით ამაღლებას, აგროტექნიკის მოთხოვნების მტკიცედ დაცვას.

წელს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ახალი ნაბიჯი უნდა გადადგან წინ ხორცის, რძის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების დარგში. ეს ამოცანა მით უფრო წარმატებით იქნება გადაჭრილი, რაც უფრო იზრუნებენ სასოფლო პარტიული ორგანიზაციები მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. როგორც ცნობილია, შარშან რესპუბლიკაში ამინდის არახელსაყრელი პირობების გამო რამდენადმე შემცირდა სიმინდის მოსავლიანობა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში აუღებელი დარჩა დიდძალი სიმინდის ჩალა. ამან თავისი დაღი დაასვა აღნიშნულ რაიონებში პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებას. პარტიის სასოფლო რაიკომები, კოლმეურნეობებისა და მტს-ების პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყველა ღონისძიება განახორციელონ პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრების უზრუნველსაყოფად, ამათავითვე იზრუნონ მიკხოვლეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად.

საკოლმეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის ინტერესები სასოფლო პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს მტს-ების მუშაობის გაუმჯობესებას. შემდგომში არ შეიძლება შეგურიგდეთ ისეთ მდგომარეობას, როცა ზოგიერთ მტს-ში მაღალნაყოფიერად არ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, უშვებენ რემონტის გაუბარალოებას. სწრაფად უნდა გადავწყვიტოთ საკოლმეურნეო წარმოების შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საკითხები.

სასოფლო პარტიული ორგანიზაციების გავლენა საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობაზე პირდაპირ დამოკიდებულია პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონეზე. საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატური შემოწმება, კოლმეურნეობათა გამგეობების სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერება, კომუნისტთა საქმიანი წინადადებების განხორციელება, პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის გაუმჯობესება თვითეული სასოფლო პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო ამოცანაა.

დღეს თბილისში იხსნება სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც შეაჯამებს გასული წლის მუშაობის შედეგებს და დასახავს დიდად პასუხსაგებ ამოცანებს იმისათვის, რომ 1957 წელი ახალი მძლავრი აღმავლობის წელი გახდეს. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევების დანერგვას წარმოებაში. ამიტომ ყოველივე ახლის, პროგრესულის ფართო მასების კუთვნილებად გადაქცევა სასოფლო პარტიული ორგანიზაციების მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

სასოფლო პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლებით ახალი მიღწევები მოვიპოვოთ წელს სოფლის მეურნეობაში, თვალსაჩინო წარმატებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს!

სურათზე — სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): ახალციხის რაიონის ვ. სტურუას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური **პ. ბუცხრიკიძე**, ხობის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვ. ბერაია**, გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანის კოლმეურნეობის ბრიგადირი **ი. აბაშიძე**, ლანჩხუთის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი **მ. კუნჭულია**, გურჯაანის რაიონის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე **ვ. მურადოვი**, სიღნაღის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ი. ბეჟაშვილი**, ლანჩხუთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური **ნ. ჩხაიძე**, ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობა „კომსომოლეცის“ სარძევო-სასაქონლო ფერმის გამგე **ს. ბადასიანი**, ლენტეხის რაიონის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი **ს. ლიპარტელიანი**.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

ქუთაისელთა საწარმოო მიღწევები

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელები ახალ წარმატებებს აღწევენ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

ვადამდე — 21 თებერვლისათვის შეასრულა პროდუქციის გამოშვების იანვარ-თებერვლის დავალება შუშის ტარის ქარხნის კოლექტივმა. 23 თებერვლისათვის ორი თვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 258 ათასი ცალი შუშის ქილა. ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღისათვის შეასრულოს პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა.

დიდი შრომითი აღმავლობაა ტყავფეხსაცმლის კომბინატში. მეფეხსაცმელეები ყოველდღე ზრდიან პროდუქციის გამოშვებას. იანვარში მათ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 1.200 წყვილი ფეხსაცმელი, ხოლო თებერვლის ორ დეკადაში — 1.420 წყვილი. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სძირის გამომჭრელი საამქროს მუშა სულიკო ნამიქეიშვილი, რომელიც დავალებას 180-200 პროცენტით ანაღდებს. ასევე მაღალი საწარმოო მაჩვენებლები აქვთ თინა აბრამიძეს, ნინო სამარიადოვას, ელენე უგულავას და ელენე შენგელიას.

კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა მარტო თებერვლის ორ დეკადაში ნახევარი მილიონი მანეთის ზეგეგმითი საკერვალო ნაწარმი მისცა სამშობლოს.

საბჭოთა საქართველოს 36-ე წლისთავი ახალი საწარმოო საჩუქრებით აღნიშნეს ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, აბრეშუმკომბინატის, ლიტოპონის ქარხნის და ქალაქის სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

საგრიკოგაქო მოწყობილობის მოდერნიზაცია

თბილისის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ კოლექტივი მნიშვნელოვან მუშაობას ასრულებს მოწყობილობის გაუმჯობესებისათვის. აქ განხორციელდა 23 ბრტყელფანგიანი მანქანის მოდერნიზაცია. წინათ ამ მანქანას ხელით ამუშავებდნენ, ახლა იგი მექანიკური ამძრავით მუშაობს. მასზე გამართულია ხელსაწყო, რომელიც ახდენს შრომატევადი ოპერაციის მექანიზაციას, რამაც ბევრად შეამსუბუქა მუშების შრომა. თუ მოდერნიზაციამდე მქსოველი მომსახურებას უწევდა ერთ მანქანას, ახლა თვითეული მათგანი ორ მანქანას უწევს მომსახურებას.

წინდის ავტომატების მოდერნიზაციამ შესაძლებელი გახადა ამ მანქანებით გამოეშვათ აგრეთვე მამაკაცის სახიანი წინდები. წინათ ნემსების გადაღუნვა ხელით წარმოებდა. საქსოვი სისტემის გადაკეთებამ შესაძლებელი გახადა ამ პროცესის ავტომატიზაცია, რამაც გააადვილა მანქანების მომსახურება და შრომის ნაყოფიერება 8-10 პროცენტით გაადიდა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა განადგენისათვის ბრძოლის დღეებში მრავალ სიახლეს ნერგავენ წარმოებაში მეტრიკოტაჟეები, მოწყობილობათა მოდერნიზაციაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოწინავე რაციონალიზატორები. (საქდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კოსტრომის საოლქო გაზეთის „სევერნაია პრავდის“ დაჯილდოების შესახებ

კოსტრომის საოლქო გაზეთის „სევერნაია პრავდის“ პირველი ნომრის გამოსვლის მეორმოცდაათე წლისთავის გამო და მისი რევოლუციური დამსახურების, აგრეთვე ნაყოფიერი საქმიანობის აღსანიშნავად, რომელსაც იგი ეწეოდა მშრომელთა დასარაზმავად კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, გაზეთი **„სევერნაია პრავდა“** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 26 თებერვალი.

მეჯი ხე-ჯუე, მეჯი ავეჯი სამშობლოს

ახალი დიდი ამოცანების წინაშე დგანან წელს რესპუბლიკის სატყეო-სამრეწველო მეურნეობათა კოლექტივები. მათ საგრძნობლად უნდა გაადიდონ ხე-ტყის მასალის მიწოდება რესპუბლიკის მშენებლობებისათვის. ამ ამოცანების შესასრულებლად და დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს სატყეო-სამრეწველო მეურნეობებსა და საწარმოებში ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება.

რესპუბლიკის სატყეო-სამრეწველო მეურნეობებს შორის შეჯიბრების ინიციატორებად გამოვიდნენ ახმეტელი ხე-ტყის დამამზადებლები. მათ გადაჭარბებით შეასრულეს მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს მერქნის დამზადებისა და მოზიდვა-გამოზიდვის დავალება, წინა წელთან შედარებით შარშან 11,3 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება და 400 ათასი მანეთის ეკონომია გასწიეს.

ახმეტელებმა, რომლებმაც მრწოდებით მიმართეს საქართველოს სატყეო სამრეწველო კოლექტივებს სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ, გადაწყვიტეს:

მერქნის დამზადების, მოზიდვისა და გამოზიდვის 1957 წლის დავალება გაანაღდონ 7 ნოემბრისათვის, წლიური გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცენ 10 ათასი კუბმეტრი ხე-ტყე.

გეგმასთან შედარებით მნიშვნელოვნად შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, გასწიონ ნახევარი მილიონი მანეთის ეკონომია.

საქმიანი მერქნის გამოსავლიანობა შარშანდელთან შედარებით გაადიდონ 2 პროცენტით.

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს სისტემის ხისდამმუშავებელ საწარმოთა შორის სოციალისტური შეჯიბრების მოთავედ თბილისის ავეჯის კომბინატის კოლექტივი გამოვიდა. მან დიდი, პასუხსაგები ვალდებულებები აიღო. მეავეჯეებმა იკისრეს:

მიმდინარე წლის საწარმოო დავალება შეასრულონ 5 დეკემბრისათვის, პირველი კვარტალისა — ასორტიმენტის და ნომენკლატურის მიხედვით — ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღისათვის — 17 მარტისათვის, ხოლო ხუთი თვისა — პირველი მაისისათვის.

წლის ბოლომდე დავალების გადამეტებით გამოუშვან ერთი მილიონი მანეთის პროდუქცია — ავეჯი, თლილი ფანერი, დახერხილი მასალა, სადურგლო ფილები.

1957 წლის პირველ ნახევარში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის დარგში განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი: დადგან ცხელი ჰიდრავლიკური წნეხი, სინთეზური ფირის მისაღები აგრეგატი, გადავიდნენ ავეჯის მექანიკურ გაკრიალებაზე. აითვისონ ახალი სახის კომბინირებული ავეჯი — კარადა-ბუფეტი, კარადა-კომოდი, ბუფეტი და სხვ.

აამაღლონ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, მეორე ხარისხის პროდუქციის გამოშვება შეამცირონ 5 პროცენტით გეგმიურთან შედარებით, აგრეთვე 5 პროცენტით აამაღლონ შრომის ნაყოფიერება. შარშანდელთან შედარებით თვითღირებულება შეამცირონ 5 პროცენტით და სხვ.

კომბინატის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა მიმართეს რესპუბლიკის მეავეჯეებს მიბაძონ მათს მაგალითს და ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება დიადი დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის.

თიანეთის რაიონში

მტს-ი ახალი მანქანებით შეივსო

თიანეთის მტს-ს ამჟამად 49 ტრაქტორი, 18 კომბაინი, 18 კულტივატორი და სხვა იარაღ-მანქანები აქვს. ამ დღეებში სადგურმა მიიღო 8 ახალი ტრაქტორი და 8 კომბაინი. მტს-ის მექანიზატორებმა მთლიანად დაამთავრეს ტრაქტორების რემონტი და შეუდგნენ კომბაინების რემონტს.

საგიტაციო მუშაობა გაჩაღდა

რაიონში ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით შექმნილია 18 აგიტპუნქტი, რომლებშიც 400-მდე აგიტატორია გაერთიანებული. ამომრჩეველთა შორის საინტერესო საგიტაციო მუშაობას ეწევიან ნაკალაქარის, უბერტისა და თიანეთის აგიტპუნქტები. აქ ყოველდღიურად მოდიან ამომრჩევლები. ისინი ისმენენ ლექციებს-მოხსენებებს, კითხულობენ საარჩევნო ლიტერატურას და ახალ უურნალ-გაზეთებს.

ემზადებიან ფესტივალისათვის

თიანეთის რაიონის ახალგაზრდობა დიდი მონდომებით ემზადება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეექვსე მსოფლიო ფესტივალისათვის. კულტურის რაიონულ სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი დიდი ხანია შეუდგა მუშაობას. კვირაში სამჯერ გაცხოველებული მეცადინეობა მიმდინარეობს. ანსამბლის წევრებმა შეისწავლეს ახალი სიმღერები და ცეკვები: „სამშობლო“, „შრომის გმირი ხარ, ვაჟკაცო“, „დავლური“, „მთიულური“ და სხვ. ფესტივალისათვის ორგანიზებულად ემზადება აგრეთვე თიანეთის საშუალო სკოლის სიმღერისა და ცეკვის წრე.

საკოლმეურნეო კლუბი

ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა თიანეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კლუბი, რომელიც 350 მაყურებელს იტევს. კლუბს აქვს ყველა საჭირო მოწყობილობა.

მშობლები ეხმარებიან სკოლას

მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და მაღალი აკადემიური წარმატების მოპოვებისათვის ბრძოლის მიზნით თიანეთის საშუალო სკოლის მშობელთა კომიტეტმა სკოლაში და სხვადასხვა საკრებულო ადგილებში მშობელთა მორიგეობა დააწესა. სკოლას ამ საქმეში დიდ დახმარებას უწევენ მშობლები: ნინო სუჯაშვილი, თინა ფიცხელაური, რუსუდან მამსირაშვილი, ნათელა ცომაია, ფერიდე აფციაური და ელო მაჩურიშვილი.

გ. გიგაური.

რუსთავის მეგაღუგგთა დელეგაცია სუმგაითში

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში რუსთავის მეტალურგთა დელეგაცია ქ. სუმგაითში გაემგზავრა. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ცნობილი ჩქაროსანი მეფოლადე ა. ზარიძე, ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს უფროსი დ. პეტრიაშვილი, ამავე საამქროს მუშა გ. დვალიშვილი, სამსხმელო საამქროს უფროსი ოსტატი ე. ჭიპაშვილი, მილსაგლინავი საამქროს უფროსი ოსტატი ო. ბლიაძე, მვალცავი ა. რამიშვილი, რკინიგზის საამქროს ორთქლმავლის მემანქანე ნ. ბედიანაშვილი და საგლინავი საამქროს პარტბიუროს მდივანი გ. ორდენიძე.

დელეგაცია სუმგაითში შეაჯამებს მოძმე აზერბაიჯანელ მეტალურგებთან გასული წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და ხელს მოაწერს 1957 წლის ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებას.

ათვისებულია წიწილების გალიური შენახვის გატარიების წარმოება

წიწილების გალიური შენახვის ბატარიების — „კბ-106“-ის ნახაზები და ტექნიკური დოკუმენტაცია ორი კვირის წინათ მიიღეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს ხე-ტყის კომბინატში. ამოცანა სასწრაფოდ გადასაწყვეტი იყო: კომბინატის კოლექტივს, რომელიც მანამდე ძირითადად საოჯახო ავეჯს ამზადებდა, დაეკისრა რაც შეიძლება მოკლე ხანში გამოეშვა წიწილების გალიური შენახვის ბატარიის საცდელი ნიმუშები.

— დღედაღამ მუშაობდა ჩვენი კოლექტივი ამ საპატიო დავალების შესასრულებლად, — განაცხადა კომბინატის დირექტორმა ამხ. შ. ვარაზანაშვილმა,—და აი 10 დღის შემდეგ იგი განაღდებულ იქნა.

კომბინატის ფარდულში ახლა დგას წიწილების გალიური შენახვის სამი ბატარია, რ 1-მლებიც სავსებით აკმაყოფილებენ ტექნიკურ პირობებს და სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურეს.

ბატარიების წარმოება მოეწყო კოოპერირების საფუძველზე. კომბინატს ლეონინის ნახევარფაბრიკატებით ამარაგებდნენ მომინანქრებული ჭურჭლის ქარხანა, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის მექანიკური ქარხანა და სხვა საწარმოები. მაგრამ ისეთი ძირითადი სამუშაოები, როგორიც არის ჩარჩოს დეტალების დამზადება, მათი აწყობა, შეკვრა, შეღებვა და საბოლოოდ გამზადება, კომბინატში მოხდა.

ბატარიების დამზადებაზე თავი გამოიჩინეს კომბინატის მოწინავე ადამიანებმა დურგლებმა ა. ჟაბინმა, ა. ურდულაძემ, წუნმდებლებმა ს. ტატანაშვილმა, ნ. ბაღდასაროვმა, საამქროს გამგემ ს. გამბარიანმა.

აღსანიშნავია, რომ გალიის ეს ტიპი შესამჩნევად განსხვავდება აქამდე არსებული სხვა ნიმუშებისაგან და მასში მრავალი გაუმჯობესებაა შეტანილი. იგი შედგება 30 სექციისაგან და 1.200 წიწილას იტევს.

საცდელი ეგზემპლარების გამოშვების შემდეგ, რომლებმაც მაღალი მოწონება დაიმსახურეს, კომბინატს გადაწყვეტილი აქვს გადავიდეს გალიების სერიულ წარმოებაზე. კომბინატი ყოველთვიურად გამოუშვებს სულ ცოტა 40-60 ცალ გალიას.

ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეფრინველეობის ფაბრიკებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გალიებში წიწილების გაზრდის დროს 2-3-ჯერ დიდდება ფართობის გამოყენება, გაცილებით მაღალია მოზარდეულის შენარჩუნების პროცენტი.

გ. ლუარსაბიძე.

* * *

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) დურგლები ა. ურდულაძე, ა. ჟაბინი, წუნმდებელი ს. ტატანაშვილი, მთავარი ინჟინერი ი. ოსიპოვი ამოწმებენ დამზადებულ ბატარიებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

1957 წელი გადავაქციოთ სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის წლად

ფართოდ დავნერგოთ სოფლის მეურნეობაში მოწინავეთა ძვირფასი გამოცდილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

როგორ მოვიყვანოთ სიმინდის უხვი მოსავალი

სოფელ კიცხის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის ათესებს 306 ჰექტარი უკავია. აგროტექნიკის გაუმჯობესების შედეგად უკანასკნელ წლებში აქ საგრძნობლად გადიდდა ამ კულტურის მოსავლიანობა. შარშან კოლმეურნეობამ, არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, ჰექტარზე საშუალოდ 14,32 ცენტნერი სიმინდი მიიღო გეგმით გათვალისწინებული 13,5 ცენტნერის ნაცვლად.

არტელში წლითიწლობით იზრდება სიმინდის მაღალი მოსავლის ოსტატთა რიცხვი. შარშან 91 კოლმეურნემ გადაჭარბებით შეასრულა სიმინდის მოსავლიანობის დაწესებული გეგმა. კოლმეურნეებმა ე. მესხმა, მ. შავიძემ, ა. ჭყოიძემ და ი. მესხმა მათთვის მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთში ჰექტარზე 50-90 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს. რგოლმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ჰექტარზე 50,11 ცენტნერი მოსავალი მიიღო.

წარმატებათა მოპოვების გადამწყვეტი პირობაა რგოლში შრომის სწორი ორგანიზაცია, სიმინდის ნათესების აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად დამუშავება. ჩვენს რგოლს შარშან სიმინდი 9 ჰექტარზე ეთესა.

სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის ზრუნვა შარშან ივნისის მეორე ნახევრიდან დავიწყეთ. ნიადაგი გავწმინდეთ მცენარის ღეროების ნარჩენებისაგან.

ნიადაგის ძირითადი ხვნა თესვამდე 20-25 დღით ადრე 15-20 სანტიმეტრზე ჩავატარეთ, უზრუნველვყავით დაფარცხვა. მიწამ თესვის დაწყებამდე მოასწრო დაწლა და ე. წ. „დაჯდომა“. თესვის წინ ჩავატარეთ გადახვნა 10-12 სანტიმეტრ სიღრმეზე, ხოლო შემდეგ თესვისწინა კულტივაცია თესლის ჩათესვის სიღრმეზე (6-8 სანტიმეტრზე). ამან ხელი შეუწყო სარეველების მოსპობას, ნიადაგის ზედაპირის გაფხვიერებას, ნიადაგში ტენის შენარჩუნებას და თესვის უკეთ ჩატარებას. გაგვიადვილდა ნათესების შემდგომი მოვლაც.

სათესლედ გამოვიყენეთ შერჩეული ტაროების შუა ნაწილის მარცვლები.

საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ ნათესების დროულად და მაღალხარისხოვნად მოვლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სიმინდის მაღალი მოსავლის მიღების საქმეში.

სიმინდის მოვლის ყველაზე მნიშვნელოვან სამუშაოს თოხნა-კულტივაცია წარმოადგენს. ეს ღონისძიება ხელს უწყობს სარეველა მცენარეების მოსპობას, ნიადაგის ზედაპირის გაფხვიერებას, მასში წყლის საჭირო რაოდენობით შენარჩუნებას და აერაციის გაძლიერებას.

როცა სიმინდის მცენარეებმა 10-15 სანტიმეტრ სიმაღლეს მიაღწიეს და 4-5 ფოთოლი განვითარეს, ჩავატარეთ ნათესების პირველი თოხნა 8-10 სანტიმეტრ სიღრმეზე. პირველი თოხნიდან 15-20 დღის შემდეგ 5-6 სანტიმეტრ სიღრმეზე ჩავატარეთ მეორე თოხნა, ხოლო მესამე თოხნა — მეორე თოხნიდან 20-25 დღის შემდეგ. იმ ნაკვეთებზე, რომ-

დ. შავიძე

* * *

ლებზეც სარეველები წამოიზარდა, ნიადაგის ზედაპირზე გაჩნდა ქერქი და იძულებული გავხდით ეს ნაკვეთები მეოთხედ გაგვეთოხნა.

პირველი გათოხნის დროს ჩავატარეთ ნათესების პირველი ნაწილობრივი გამეჩხრება, ხოლო მეორე გათოხნის დროს — მეორე, საბოლოო გამეჩხრება.

ბუდობრივი ნათესის თვითეულ ბუდნაში დავტოვეთ 2-3 კარგად განვითარებული მცენარე. ყოველ ჰექტარზე შევინარჩუნეთ 40-45 ათასი ძირი სიმინდი. თოხნის დროსვე მოვაცილეთ ნამხრევები, რითაც გავაძლიერეთ სიმინდის მთავარ ღეროზე მოთავსებული ტაროს კვება და წყლით მომარაგება.

სიმინდის მინერალური სასუქებით გამოკვება ჩავატარეთ ორჯერ: პირველი — მეორე თოხნის დროს, ხოლო მეორე — მესამე თოხნის წინ. სასუქები შევიტანეთ ფესვების მთავარი მასის განვითარების არეში თვითეული გამოკვებისას ჰექტარზე შემდეგი რაოდენობით: აზოტოვანი სასუქი 15 კილოგრამი, ფოსფოროვანი — 20 კილოგრამი და კალიუმიანი სასუქი — 10 კილოგრამი.

ხელოვნური დამტვერვა ჩავატარეთ ორჯერ 3-5 დღის შუალედებით, რადგან სიმინდის ყანაში ყველა ტარო ერთდროულად არ ყვავილობს.

სიმინდის მოსავლის აღება დავიწყეთ ტაროს სრული სიმწიფის პერიოდში და 5 დღეში დავამთავრეთ. ყველა ამ ღონისძიების გატარების შედეგად ჩვენმა რგოლმა ჰექტარზე საშუალოდ 50,11 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, ხოლო ჩემთვის მოსავლელად მიჩენილ ერთ ჰექტარ ფართობზე 92,1 ცენტნერი სიმინდი მივიღე.

ვლაპარაკობთ რა მოპოვებულ წარმატებებზე, ჩვენ ერთ წუთსაც არ ვივიწყებთ იმას, რომ სიმინდის მოსავლიანობის მიღწეული დონე ზღვარი არ არის და ზოგიერთი რეზერვის გამოყენებით უკეთესი მაჩვენებლების მიღწევა შეგვიძლია. შარშან ჩვენ სიმინდის 2-3 ფოთლის განვითარების ფაზაში არ ჩაგვიტარებია აღმონაცენის დაფარცხვა და ყვავილობის პერიოდთან დაკავშირებული დამატებითი გამოკვება, საკმაო რაოდენობით არ გამოგვიყენებია აზოტოვანი სასუქები. დღემდე არ არის გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები ჩვენს კოლმეურნეობაში მექანიზაციის გამოყენებისათვის. საჭიროა რესპუბლიკის და რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები ქმედითად დაგვეხმარონ ამ საქმეში.

ჩვენ უკვე შევუდექით სიმინდის კიდევ უფრო მაღალი მოსავლის მიღებისათვის მზადებას. ვარემონტებთ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს, ვასუფთავებთ საყანე ნაკვეთებს სიმინდის ღეროების ნარჩენებისაგან, გაძლიერებულ კვებაზე გადავიყვანეთ მუშა პირუტყვი. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა აღგვაფრთოვანებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. პარტიისა და მთავრობის მოწოდების პასუხად ჩვენმა რგოლმა ვალდებულება იკისრა წელს ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანოს 150 ცენტნერი სიმინდი. პირობა დავდეთ — კიდევაც შევასრულებთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს.

დ. შავიძე,

ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

ჰექტარზე 6 ტონა ჩაისათვის

გასულ სამეურნეო წელს, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, ჩემთვის მოსავლელად მიჩენილი 0,5 ჰექტარი პლანტაციიდან 4 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოვკრიფე.

ახლა, როცა მთელი ჩვენი სამშობლოს მშრომელები ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, გადავწყვიტე წელს მკვეთრად გავადიდო ჩაის მოსავლიანობა. კარგა ხანია შევუდექი პლანტაციის დამუშავებას. შემაქვს მინერალური სასუქები, როგორც ეს დადგენილია აგროტექნიკით. ვცდილობ მქონდეს ძლიერი ბუჩქები კრეფის სეზონისათვის. მარტში ჩაის ბუჩქებს გავსხლავ ოვალურად, რათა ფოთოლი უფრო მეტი რაოდენობით მივიღო.

ჩემი ვალდებულებაა წელს 0,5 ჰექტარზე მოვკრიფო 6 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

გოგუცა გუგუნავა,

ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე.

* * *

ჩაის კულტურა ჩვენი შეძლებულობის წყაროა

გასული სამეურნეო წელი ერთგვარი წარმატებით დავამთავრეთ. გადაჭარბებით შევასრულეთ ჩაის, ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების დარგში სოციალისტური შეჯიბრებით. ნაკისრი ვალდებულებანი. ახლა კოლმეურნეობაში გაჩაღებულია დიდი შემოქმედებითი შრომა მიმდინარე წელს ყველა კულტურის უხვი მოსავლის მისაღებად.

წითელწყაროელთა მიმართვის საფუძველზე ჩავებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვიბრძვით იმისათვის, რომ მიმდინარე წელს მოვკრიფოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ 455 ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად შარშან მიღებული 354 ათასისა. ჩაი ჩვენი კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის ამაღლების მთავარი წყაროა. ამიტომ არის, რომ ჩვენი კოლმეურნეები ამ კულტურას დიდ პატივს სცემენ და ძალებს არ იშურებენ მისი მოსავლიანობის ასამაღლებლად. ბრიგადამ, რომელსაც ი. მელუა ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრა წელს მოკრიფოს 60 ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

კოლმეურნეები 260 ჰექტარი სიმინდის ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღებენ 23 ცენტნერ მოსავალს ნაცვლად შარშან მიღებული 19 ცენტნერისა.

გასულ წელთან შედარებით წელს 5 პროცენტით შევამცირებთ შრომის დანახარჯებს თვითეული ტონა ჩაის ფოთლისა და 6 პროცენტით თვითეული ცენტნერი სიმინდის წარმოებაზე.

კოლმეურნეები დიდი მონდომებით შეუდგნენ მუშაობას ჩაის პლანტაციებში. მიმდინარეობს პლანტაციების გადაბარვა. მალე დაიწყება ჩაის ბუჩქების გასხვლა. ვწმენდთ სადრენაჟო არხებს. ვასუფთავებთ სიმინდის დასათეს ნიადაგს.

კოლმეურნეთა ენერგიული შრომა იმის თავდებია, რომ 1957 წელს მოვიპოვებთ ახალ წარმატებას და წინ წავწევთ კოლმეურნეობის ეკონომიკას.

ს. მეფარიშვილი — ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **მ. მათითაშვილი**—პარტიბიუროს მდივანი, **ი. ათანასოვი** — აგრონომი, **ვ. კალანდაძე** — ბრიგადირი, **თ. ცინტერაძე, ფ. კალანდაძე** — მერგოლურები, **ნ. სიხარულიძე, ე. ბამალაძე** — კოლმეურნეები.

ორგანიზებულად მოვანყობთ ყველა სამუშაოს

სოფელ ვაყის (ხაშურის რაიონი) ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი. გადაჭარბებით შესრულდა მარცვლეული კულტურების, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის მოსავლიანობის გეგმები. თვითეულ საფურაჟე ძოხაზე მიღებულია 1.070 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 700 ლიტრისა.

წინა წლებში შრომადღეებზე თუ უმნიშვნელო რაოდენობით ნაწილდებოდა პროდუქტები, შარშან თვითეულ შრომადღეზე გარდა ფულისა, განაწილდა 4 კილოგრამი მარცვლეული და სხვა პროდუქტები. მარტო პრემიის სახით კოლმეურნეებზე გაიცა 70.000 მანეთი ფული, 350 ცენტნერი მარცვლეული და 360 ცენტნერი ბოსტნეული.

მაგრამ მიღწეული წარმატებებით გულდამშვიდება არ შეიძლება. ახლა წითელწყაროელთა მოწოდების საპასუხოდ ვიბრძვით იმისათვის, რომ წელს უფრო მაღალი მაჩვენებლები მოვიპოვოთ. ამ მიზნის მიღწევა დიდად არის დამოკიდებული საგაზაფხულო თესვის მაღალხარისხოვნად და აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებაზე. ამიტომ ენერგიულად ვემზადებით საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. სიმინდისათვის 320 ჰექტარი მოვხანით მზრალად, 57 ჰექტარი მოვხანით საჭარხლედ. მთლიანად უზრუნველყოფილი ვართ თესლით.

მოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის გაწყობიერებას, მაგრამ დღემდე ყველა შესაძლებლობას არ ვიყენებდით. წელს ამ საქმეს სერიოზულად მოვკიდეთ ხელი. ფართობებში უკვე შევიტანეთ 400 ტონა ორგანული სასუქი. გადაწყვეტილი გვაქვს სოფელში არსებული სასუქები მთლიანად გამოვიყენოთ მოსავლიანობის გასადიდებლად. საჭარხლე ნაკვეთში თესვის წინ შესატანად ვაგროვებთ აგრეთვე ქათმის ნაკელს.

მუშაობაში ნაკლიც გვაქვს. როგორც ცნობილია, წუნწუხი საუკეთესო საშუალებაა ნათესების დამატებითი გამოკვებისათვის, მაგრამ დღემდე მას ყურადღებას არ ვაქცევდით. ამ ნაკლის გამოსასწორებლად გადავწყვიტეთ უახლოეს ხანში ფერმებთან მოვაწყოთ სილა-ცემენტის ორმოები, სადაც დავაგროვებთ წუნწუხს.

ჩვენ უკვე დავაკომპლექტეთ ბრიგადები და რგოლები. სრულ წესრიგზეა მარტივი იარაღ-მანქანები, შევაკეთეთ 21 გუთანი. მუშა პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე.

ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ახალი წარმატებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

ნ. გოგალაძე,

ხაშურის რაიონის სოფელ ვაყის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მაღალი მოსავლისათვის მებრძოლნი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გაითვალისწინეს გამოუყენებელი რეზერვები და ვალდებულება იკისრეს სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციების თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოკრიფონ 3.500 კილოგრამი ხარისხოვანი ნედლეული ანუ შარშანდელზე 600 კილოგრამით მეტი, ამასთან 15 ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 6.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ჭლოუელები წელს მოკრეფენ და სახელმწიფოს ჩააბარებენ სულ 400 ტონა ხარისხოვან ჩაის ნედლეულს ანუ 65 ტონით მეტს, ვიდრე წლიური გეგმა ითვალისწინებს.

იმ ბრიგადამ, რომელსაც კ. გოგოხია ხელმძღვანელობს, გადაწყვიტა 35 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფოს სულ ცოტა 4.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 35 ცენტნერი სიმინდი. უხვი მოსავლის ოსტატებმა ვ. პაპავამ, ლ. ბერაძემ, შ. ჯოპუამ, ს. შონიამ და სხვებმა ვალდებულება იკისრეს 1957 წელს ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 10 ათას კილოგრამამდე ჩაის ნედლეული.

უხვი მოსავლისათვის იბრძვიან მემინდვრეებიც. მეხუთე ბრიგადის წევრები ტ. ავიძბა, ჯ. ცვიკბა, ს. ახუბა შრომობენ იმისათვის, რომ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 90 ცენტნერი სიმინდი. მესამე ბრიგადის წევრებს ა. ცქიტარიძეს, გ. ჟორდანიძესა და ს. ჯოპუას განზრახული აქვთ მიიღონ ჰექტარზე 85 ცენტნერი სიმინდი.

ჭლოუელი კოლმეურნეები მომზადებული შეხვდნენ მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის გაზაფხულს. მოიმარაგეს 50 ცენტნერი სათესლე სიმინდი, 120 ჰექტარზე გადაბარეს ჩაის პლანტაცია და შეიტანეს მინერალური სასუქები. წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო ხვნა. წესრიგზე მოჰყავთ მანქანა-იარაღები და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებით კოლმეურნეობა მიმდინარე წელს თვითეული შრომადღის ღირებულებას 45 მანეთამდე გაზრდის, რაც შარშანდელთან შედარებით 5 მანეთით მეტი იქნება.

ვ. დოლნაძე.

მანქანა-იარაღების რემონტის პროგრესული მეთოდის დანერგვით

როგორც ცნობილია, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტის კვანძურ მეთოდს და განუწყვეტელ წლიურ რემონტს დიდი უპირატესობა აქვს. ამ მოწინავე მეთოდების გაზიარებისა და მათი წარმოებაში დანერგვის მიზნით მიმდინარე წლის იანვარში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშებისა და მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ინიციატივით სიღნაღის რაიონის ულიანოვკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში მოეწყო სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხისა და კაჭრეთის რაიონების მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა შეკრება.

შეკრების მონაწილეები ადგილზე პრაქტიკულად გაეცნენ კვანძურ და წლიურ განუწყვეტელ რემონტს, რომელთა საშუალებით მიღწეულია შეკეთების მაღალი ხარისხი, შემცირებულია რემონტში ტრაქტორების ყოფნის ვადები. თუ ბრიგადული წესით რემონტის დროს თვითეული ტრაქტორი საშუალოდ 20 დღეს რემონტდებოდა, პროგრესული მეთოდის დროს მისი შეკეთება 7-10 დღეში მთავრდება. ამასთან შემცირებულია რემონტის ხარჯები, ნაკლებია წუნი. წლიური განუწყვეტელი რემონტის დროს შესაძლებელი ხდება სარემონტოშორისო ვადების ზუსტად დაცვა ისე, რომ მანქანების გაჩერება არ აფერხებს სატრაქტორო სამუშაოთა შესრულებას. ტრაქტორების რემონტის პროგრესული მეთოდით ჩატარების შედეგად ულიანოვკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა 1956 წელს 1955 წელთან შედარებით თვითეული 15-ძალიანი ტრაქტორის დატვირთვა გაზარდა 77 ჰექტარით.

შეკრებილნი გაეცნენ აგრეთვე დამოქლონების ახალ მეთოდს, რომელიც ულიანოვკელმა მექანიზატორებმა დანერგეს წარმოებაში.

შეკრებილნი გაეცნენ კვადრატულ-ბუდობრივი ნათესების შეწყვილების მეთოდს, როცა ორივე სათესის ჩამთესი მექანიზმი ერთდროულად მოდის მოძრაობაში. აღნიშნული მეთოდის გამოყენების შედეგად თავისუფლდება ერთი ტრაქტორი, სანახევროდ მცირდება მომსახურე პერსონალის რიცხვი და დღეში შეიძლება 40-45 ჰექტარის დათესვა. შეკრებაზე აზრი გამოთქვეს ბადიაურის, ტიბაანის, წითლის, ულიანოვკისა და ქედის მტს-ების ხელმძღვანელებმა და მექანიზატორებმა.

შეხვედრის მონაწილენი გაეცნენ როსტოველ მექანიზატორთა და წითელწყაროს რაიონის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა მოწოდებას, ჩაებნენ შეჯიბრებაში და პირობა დადეს, რომ თავდადებით იბრძოლებენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საწარმოო დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის, ფართოდ დანერგავენ წარმოებაში ულიანოვკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორთა მუშაობის მოწინავე მეთოდებს.

ს. კალანდაძე,

სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშებისა და მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

ვაზის მსხმოიაროობის დაჩქარების შესახებ

მეექვსე ხუთწლედი დიდ ამოცანებს უსახავს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს ყურძნის მოსავლიანობის ამაღლების საქმეში. ამ ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია არსებული ნარგავებისა და გასაშენებელი ვენახების დიფერენცირებული აგროტექნიკის შეუმუშავებლად. პირველ რიგში აუცილებელია ახალგაშენებული ვენახების მოვლის ღონისძიებათა გაუმჯობესება.

მევენახეობის აგროწესები არ ითვალისწინებს მწვანე ოპერაციების ჩატარებას ვენახის გაშენების პირველ წელს. მაგრამ როგორც პრაქტიკული დაკვირვება გვიჩვენებს, საჭიროა ვენახის გაშენების პირველ წელსვე მწვანე ოპერაციების ჩატარება და ყლორტების საყრდენზე გაზრდა, რათა საკვებ ნივთიერებათა მარაგი თავიდანვე წარიმართოს იმ ყლორტების გასაზრდელად, რომლებიც გამოყენებული იქნება საფორმე ელემენტებად შემდეგი წლისათვის.

არის არასწორი შეხედულება, რომ, რაც უფრო მეტია ერთწლიან ვაზზე ყლორტებისა და ფოთლების რაოდენობა, მით უფრო დიდია ვაზის საასიმილაციო ზედაპირი და ამიტომ ყლორტების დანორმება და ნამხრევების შეცლა ვენახის გაშენების პირველ წელს არ წარმოადგენს აუცილებელ აგროტექნიკურ ღონისძიებას.

როგორც მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში 1955-56 წლების დაკვირვების შედეგები ცხადყოფენ, ვაზის საასიმილაციო ზედაპირის სიდიდეს ყლორტებისა და მათზე არსებული ფოთლების რაოდენობა კი არ განსაზღვრავს, არამედ ყლორტების გაზრდის პირობები. ყლორტების დანორმებითა და ნამხრევების შეცვლით არ მცირდება ვაზის საასიმილაციო ზედაპირი. შესაძლებელია ვაზმა მწვანე ოპერაციების გარეშე ფოთლების მეტი რაოდენობა განვითაროს ყლორტებდანორმებულ ვაზთან შედარებით, მაგრამ თვითეული ყლორტისა და ფოთლის განვითარება, მათი სიმრავლის გამო, შეზღუდული იქნება. ეს გამოიწვევს საასიმილაციო ზედაპირის შემცირებას. მაგალითად, იმ საცდელმა ვაზებმა, რომლებზეც ჩატარდა მწვანე ოპერაციები და გაიზარდა ერთმავთულიან შპალერზე, ორ ყლორტზე განვითარეს საშუალოდ 64 ფოთოლი, რომელთა ზედაპირის მთლიანი ფართობი შეადგენდა 8.890 კვადრატულ სანტიმეტრს, მაშინ როცა საკონტროლო ვაზმა (მწვანე ოპერაციების გარეშე) ოთხ ყლორტზე განვითარა 69 ფოთოლი 4.792 კვადრატული სანტიმეტრი ფართობის საერთო ზედაპირით, მიუხედავად იმისა, რომ საცდელი და საკონტროლო ვაზების კვების პირობები ერთნაირი იყო.

ჩვენი აზრით, ვენახის გაშენების პირველსავე წელს, ვაზის ყლორტების განვითარების დასაწყისში საჭიროა ყლორტების დანორმება მათ შორის ორი საუკეთესოს დატოვებით. თუ კი ვაზზე თავიდანვე ერთი ყლორტია, მაშინ მეორე ყლორტის გაზრდა უნდა მოხდეს ბაზისთან ახლომდებარე ნამხარის გამოყენებით. საყრდენის და მწვანე ოპერაციების გამოყენებით ერთი საკვებეტაციო პერიოდის განმავლობაში დარგვის პირველ წელს ჩინურმა ჯიშმა საშუალოდ განვითარა 6 მეტრი სიგრძის ნაზარდი, რქაწითელმა — 4,7, პინომ — 4,1, ალიგოტემ — 4 მეტრი, მაშინ როცა საკონტროლო ვაზებმა საშუალოდ განვითარეს: ჩინურმა — 1,1 მეტრი სიგრძის ნაზარდი, რქაწითელმა — 1,4, პინომ — 1,5, ალიგოტემ — 1,3 მეტრი. ყლორტების ზრდის პარალელურად ძლიერდება ვაზის ფესვთა სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება პლანტაჟით შექმნილი ნიადაგმბრძანი პირობების მაქსიმალური გამოყენება, რაც საბოლოოდ იწვევს ვაზის გაძლიერებას და საფუძველს ქმნის პირველ წელსვე ვაზის დაჩქარებით გაფორმებისათვის.

ახალგაზრდა ვაზის აღნიშნული წესით გაზრდას აქვს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული საფუძველი. ბუნების დიდი გარდამქმნელის ი. ვ. მიჩურინის აზრით, ვაზის ადრე მსხმოიარობის მისაღწევად უნდა ვეცადოთ გავზარდოთ ძლიერი მცენარეები, ყოველ ეგზემპლარზე არა უმეტეს ორი ყლორტის დატოვებით. დანარჩენი ყლორტები ფესვის ყელთან უნდა წავაწყვიტოთ მათი განვითარების დასაწყისშივე. ეს დებულება ეხება ვაზის თესლნერგებს. მაგრამ მისი პრაქტიკული მნიშვნელობა, როგორც დავინახეთ, დადასტურდა ნამყენი ნერგით ვენახის გაშენების პირობებშიც, დარგვის პირველ წელსვე.

ამრიგად, ახალგაშენი ვენახი გაშენების პირველ წელს, გარდა აგროწესებით გათვალისწინებული ღონისძიებებისა, ჩემი აზრით, დამატებით საჭიროებს შემდეგი სამუშაოების ჩატარებას: 1. ყლორტების დანორმებას, ორი საუკეთესოს დატოვებით; 2. ყლორტებზე ნამხარის შეცლას მთელ სიგრძეზე, რითაც ვაღწევთ ჭრილობებისაგან დაუზიანებელი მასიური შტამბისა და მხარის ერთდროულად გამოყვანას; 3. საყრდენის მოწყობას (საყრდენს შორის კი უმჯობესია შპალერის გაკეთება). აღნიშნული ღონისძიებები საჭიროა გათვალისწინებულ იქნას მევენახეობის აგროწესებში.

ახალგაზრდა ვაზის თანამედროვე სხვლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს ვაზის მსხმოიარობის დაჩქარებას, ვინაიდან ყლორტების დაუნორმებლად და საყრდენის გამოუყენებლად არ ხერხდება ძლიერი ნაზარდის მიღება. ამიტომ საწარმოო პირობებში ვაზი მეტწილად ორ კვირტზე ისხვლება და თანდათანობით ხდება ჯერ შტამბისა და შემდეგ მხარის გამოყვანა, რითაც ფერხდება ვაზის მსხმოიარობაში შესვლა. პირველი წლიდანვე ძლიერი რქების მიღებით უზრუნველვყოფთ ერთდროულად შტამბისა და მხარის გამოყვანას. სხვლის ასეთი სისტემის გამოყენებით ორი წლით ვაჩქარებთ ვაზის მსხმოიარობას.

შეიძლება დაისვას კითხვა: ხომ არ შეამცირებს ვაზის მსხმოიარობის დაჩქარება საექსპლოატაციო პერიოდს? არა, არ შეამცირებს, ვინაიდან ძირითადი მიზეზი, რაც უარყოფითად მოქმედებს ვაზის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, არის მისთვის ჭრილობების მიყენება. გრძლად სხვლის სისტემის შემოღებით ვაღწევთ ჭრილობებისაგან დაუზიანებელი შტამბის მიღებას. ეს უზრუნველყოფს წვენის შეუფერხებელ მოძრაობას. ახალგაზრდა ნარგავების მოვლის პირობების გაუმჯობესება უზრუნველყოფს პოტენციალური ენერგიის დაგროვების და გამოვლინების მეტ შესაძლებლობას და განაპირობებს ვაზის მსხმოიარობის დაჩქარებას.

პარტია და მთავრობა უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებენ ვენახების ფართობების გადიდებისათვის. მეექვსე ხუთწლედში საქართველოში ვენახები გაშენდება 23.000 ჰექტარზე. ეს სერიოზული დავალებაა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება მევენახეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ მეცნიერ მუშაკებს ავალებს სერიოზულად მოჰკიდონ ხელი ამ დიდმნიშვნელოვან დარგს. დადგენილებაში დასმულია ვენახების მოვლის გაუმჯობესების საბრძოლო ამოცანა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს წინადადება მიეცათ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან ერთად გადასინჯონ ვენახების მოვლის აგროტექნიკური წესები და ასახონ ამ წესებში მეცნიერებისა და ვენახების მოვლის მოწინავე გამოცდილება. ყოველივე ახლის, მოწინავის და პროგრესულის წარმოებაში დანერგვა ხელს შეუწყობს მევენახეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას.

აგრონომი ბ. მანჯავიძე,

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის თანამშრომელი.

რქაწითელის ჯიშის ვაზი დარგვიდან მეორე წელს. ფოტო ავტორისა.

სამშენებლო ტრესტის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

წელს საქართველოში უნდა აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს მრავალი საწარმო, საყოფაცხოვრებო და კომუნალური დანიშნულების ნაგებობა, მნიშვნელოვნად გაფართოვდეს საბინაო მშენებლობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა ჩვენი ქვეყნის მშენებლებს ამოცანად დაუსახა მკვეთრად გააძლიერონ საბინაო მშენებლობის ტემპები, რათა მოკლე ხანში უზრუნველყონ მშრომელები კეთილმოწყობილი ბინებით. ამ პასუხსაგები დავალების შესრულება მშენებლებისაგან მოითხოვს ყველა შესაძლებლობისა და მთელი ენერგიის დაძაბვას, მუშაობის ახლებურად გარდაქმნას.

ამ რამდენიმე დღის წინათ შედგა საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს პირველი საერთო სამშენებლო ტრესტის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელსაც სამასამდე მშენებელი დაესწრო. მშენებლებმა განიხილეს გასული წლის მუშაობის შედეგები და მომდინარე წლის ამოცანები.

გასულ წელს ტრესტის კოლექტივმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა და 101,6 პროცენტით გაანაღდა დავალება. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 59.765 ათასი მანეთისა შესრულებულია 60.723 ათასი მანეთის სამუშაოები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მშენებლებმა 1956 წლის ბოლოსთვის გეგმის გადამეტებით ჩააბარეს 4.500-ზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

მიღწევებთან ერთად ტრესტის კოლექტივს ჯერ კიდევ მრავალი სერიოზული ნაკლი აქვს. ხშირად ზოგიერთი სამუშაო დაბალხარისხოვნად სრულდება. ასეთი შემთხვევები იყო ქარხანა „დაზგის“ მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლის, საფეიერო მრეწველობის მუშაკთა საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე და მთელ რიგ სხვა სამშენებლო ობიექტებზე. მშენებლებმა ჯერ კიდევ ვერ შეძლეს ერთ-ერთი შრომატევადი სამუშაოს — მოგათქაშების მექანიზაციის ათვისება. ტრესტი განიცდის მთელი რიგი მექანიზმების, კერძოდ კოშკურა ამწეების სიმცირეს, რაც აფერხებს მძიმე და შრომატევადი სამუშაოების კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებას, იწვევს მშენებლობის გაჭიანურებასა და გაძვირებას.

წელს პირველი საერთო სამშენებლო ტრესტის კოლექტივმა უნდა შეასრულოს 98,4 მილიონი მანეთის სამშენებლო სამუშაოები, რაც 64 პროცენტით აღემატება გასულ წელს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას. პირველი კვარტალის უკვე განვლილი პერიოდის შედეგები ცხადყოფენ, რომ მშენებლები კარგად მომზადებული ვერ აღმოჩნდნენ ამ გადიდებული გეგმის შესრულებისათვის. იანვარსა და თებერვლის ორ დეკადაში შესრულებულია მხოლოდ 7.537 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. მშენებლობის, განსაკუთრებით კი საბინაო მშენებლობის გასაფართოებლად და დასაჩქარებლად აუცილებლად საჭიროა სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა კოლექტივებთან, სამონტაჟო სამუშაოთა შემსრულებელ ორგანიზაციებთან — „საქსანტექმონტაჟთან“ და „ელექტრომონტაჟთან“ კონტაქტის განმტკიცება. საჭიროა მშენებლობის მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვა, ახალი სამშენებლო ტექნიკის მასობრივად გამოყენება.

მშენებელთა აქტივმა დასახა ღონისძიებანი მიმდინარე წლის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის იკისრა გადიდებული ვალდებულებები და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მეორე საერთო სამშენებლო ტრესტის „საქმშენინდუსტრიისა“ და „საქსანტექმონტაჟის“ ტრესტების კოლექტივები.

მშენებელთა ვალდებულებები:

პირველი საერთო სამშენებლო ტრესტის აქტივის კრებამ ერთსულოვნად იკისრა სამშენებლო სამუშაოთა წლიური გეგმა 98,4 მილიონი მანეთის მოცულობით შეასრულოს 20 დეკემბრისათვის და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე აითვისოს 3 მილიონი მანეთი. ამასთან 5 დეკემბრისათვის გაანაღდოს საკუთარი მშენებლობის წლიური დავალება.

გასული წლის გეგმასთან შედარებით 10 პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება.

მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვით, სტანდარტული ხარაჩოების გამოყენებით, რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით, შრომატევად სამუშაოთა მაქსიმალური მექანიზაციისა და სამშენებლო მასალების ეკონომიისათვის შეუნელებელი ბრძოლით 10 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულოს თვითღირებულების შემცირებისა და გეგმიანი დაგროვების დავალება.

ვადამდე გადასცეს საექსპლოატაციოდ მსხვილი ბლოკებით ნაგები 7 საცხოვრებელი სახლი. მათ შორის მეოთხე სამშენებლო სამმართველომ 2 მსხვილბლოკიანი სახლი 1.919 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით მობინადრეთა შესასახლებლად გაამზადოს 1 მაისისათვის, მესამე სამშენებლო სამმართველომ 5 მსხვილბლოკიანი სახლი 4.260 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით — 7 ნოემბრისათვის.

პირველი სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა იკისრა 1 მაისისათვის საექსპლოატაციოდ გადასცეს ქარხანა „პლასტმასის“ მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლის პირველი რიგი 1.300 კვადრატული მეტრი ფართობით, ხოლო 25 აგვისტოსათვის — სასკოლო შენობა 880 მოსწავლისათვის ლენინის რაიონში.

მეორე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა იკისრა სატელევიზიო ატელიეს მშენებლობის 10 მარტისათვის დამთავრება, ამასთან ერთი საცხოვრებელი სახლის (1.360 კვადრატული მეტრი ფართობით) დამთავრება 1 მაისისათვის, მეორე საცხოვრებელი სახლის (916 კვადრატული მეტრი ფართობით) და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შენობის დამთავრება — 7 ნოემბრისათვის.

მესამე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა იკისრა 1.155 კვადრატული მეტრი ფართობი საცხოვრებელი სახლის მობინადრეთა შესასახლებლად გამზადება 15 მარტისათვის, საქართველოს საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სასწავლო-საწარმოო კომბინატის შენობის დამთავრება — 1 მაისისათვის.

მეოთხე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა ვალდებულება აიღო საექსპლოატაციოდ გადასცეს კინოთეატრის შენობა ბარნოვის ქუჩაზე უახლოეს დღეებში, ერთი საცხოვრებელი სახლის (1.205 კვადრატული მეტრი ფართობით) აგება დაამთავროს 1 მაისისათვის, მეცნიერებათა აკადემიის საცხოვრებელი სახლის 1 კორპუსი (900 კვად. მეტრი ფართობით) — 7 ნოემბრისათვის.

მეექვსე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა 7 ნოემბრისათვის საექსპლოატაციოდ უნდა გადასცეს 1.360 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლი.

გარდა ამისა, ტრესტის კოლექტივმა იკისრა მშენებლების დღის — 11 აგვისტოსათვის საექსპლოატაციოდ გადასცეს პოლიგრაფმრეწველობის მუშაკთა 1.844 კვადრატული მეტრი ფართობი საცხოვრებელი სახლი, მეცნიერ მუშაკთა საცხოვრებელი სახლი (1.512 კვ. მეტრი ფართობისა), კიდევ ერთი საცხოვრებელი სახლი (1.445 კვ. მეტრი ფართობისა) ბარნოვის ქუჩაზე და კომპოზიტორთა საცხოვრებელი სახლი.

აქტივმა მოუწოდა მშენებლებს ყველა საშუალებით უზრუნველყონ საბინაო მშენებლობაში ნაკისრი გადიდებული ვალდებულების შესრულება დათქმულ ვადამდე — მიმდინარე წლის 5 დეკემბრისათვის.

აგიტატორები მოსახლეობაში

მცხეთა. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში ამომრჩევლებს შორის 600-მდე აგიტატორი ეწევა ახსნაგან-მარტებითს მუშაობას. პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ მოაწყო აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და აგიტპუნქტების გამგეების სემინარი თემაზე „ადგილობრივი საბჭოების არჩევნები და აგიტატორთა ამოცანები“.

ამ დღეებში განსაკუთრებით გააცხოველეს მუშაობა სოფელ წიწკლის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორებმა. კარგად მუშაობენ აგიტატორები ქ. ხიზანოვი, თ. ქაფიაშვილი, ლ. გაბინაშვილი, ვ. ახსაბაძე, ო. ქაფიაშვილი, ნ. ნაუაშვილი, რომლებიც კოლმეურნეებს რაზმავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებისათვის.

ლიტერატურა და ხელოვნება

სომხეთის საესტრადო ორკესტრის გასტროლები

ამ დღეებში თბილისში გასტროლებზე ჩამოვიდა და ძერჟინსკის სახელობის კლუბში კონცერტებს მართავს სომხეთის საესტრადო ორკესტრი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია კომპოზიტორი კ. ორბელიანი. ორკესტრი, რომლის პროგრამა ფართო და მრავალფეროვანია, ძირითადად ახალგაზრდა მუსიკოსებისაგან შედგება. მის შემადგენლობაში როგორც ინსტრუმენტალისტ-შემსრულებლებს, ისე მომღერლებსა და მოცეკვავეებს შორის ბევრი ნიჭიერი სოლისტია, რომელთაგან აღსანიშნავია სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი რ. ეოლჩიანი, ა. არუთინიანი, გ. აივაზიანი, ვ. ვეზიროვი, ვ. დერბინიანი, ა. მალხასიანი, გ. ორდოიანი, გ. ჩიგინიანი. საესტრადო კონცერტის პროგრამა საინტერესოდ მიჰყავს შესანიშნავ კონფერანსიეს ა. ბარუშნოის, რომლის ნომრები ერთსა და იმავე დროს ბრწყინავს მახვილსიტყვაობით, მსუბუქი იუმორითა და მწვავე ირონიით. თბილისელ მაყურებლებში ამ ნიჭიერი კოლეტივის სოლისტებს შორის განსაკუთრებული წარმატება ორკესტრის წამყვან სოლისტს ცნობილ სომეხ საესტრადო მომღერალს ეკა დუვალიანს ხვდა.

ეკა დუვალიანის, როგორც მოქალაქისა და ხელოვანის, ბიოგრაფია ფრიად საინტერესოა. მან პარიზში გაატარა ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები, აქვე დაიწყო მისი არტისტული მოღვაწეობა. იგი პირველად პარიზის ერთ-ერთ ფაშენებელურ კაბარეში მღეროდა, მაგრამ მისმა სიმღერებმა მალე მიიქცია პარიზელთა ყურადღება და იგი მიიწვიეს პარიზის საუკეთესო ჯაზ-ორკესტრში, რომელსაც ანდრე ეკიანი ხელმძღვანელობდა.

ანდრე ეკიანის ჯაზ-ორკესტრის კონცერტებში მონაწილეობის პარალელურად ეკა დუვალიანი გამოდიოდა რადიოთი და ტელევიზიით, აგრეთვე საგასტროლოდ მოგზაურობდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. განსაკუთრებული წარმატება ხვდა მის საგასტროლო ტურნეს ესპანეთში, იტალიასა და ბელგიაში.

ეკა დუვალიანი არა მარტო ნიჭიერი საესტრადო მომღერალი და შესანიშნავი გიტარისტია (ჩვეულებრივ იგი სიმღერებს ასრულებს გიტარაზე საკუთარი აკომპანემენტით), არამედ თვალსაჩინო კომპოზიტორიც. მისი სიმღერები „მარი სეირნობს“, „მადამ ალინ“, „მათ უყვართ ერთმანეთი“, „ჩემი საწყალი მეგობარი ჯიმი“ და სხვ., ფართო პოპულარობით სარგებლობს პარიზელებს შორის. 1952 წელს სიმღერების ერთ-ერთ კონკურსზე ეკა დუვალიანის სიმღერამ „მარი სეირნობს“ მეორე პრემია მიიღო.

გასულ წელს ეკა დუვალიანი თავის მშობლიურ ქვეყანაში — საბჭოთა სომხეთში საცხოვრებლად ჩამოვიდა. საფრანგეთიდან და, როგორც სომხეთის სსრ საესტრადო ორკესტრის წამყვანი სოლისტი, ამავე ორკესტრთან ერთად ამეყამად პირველად გამოდის თბილისში.

ეკა დუვალიანის მდიდარ რეპერტუარში შედის ფრანგული, იტალიური, ზანგური, ესპანური, მექსიკური, კუბური, ამერიკული და სომხური სიმღერები. მომღერალი ფრანგულ და სომხურ ენებს გარდა სხვა რამდენიმე ენასაც ფლობს და ამიტომ არის, ისე განსაკუთრებით რომ გვხიბლავს იგი მშობლიური სომხური და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა სიმღერების ეროვნული კოლორიტის უბადლო გადმოცემით. მისი შესრულება გამოირჩევა დახვეწილი მხატვრული გემოვნებით, ბუნებრივი უშუალობით, გულწრფელობით, ემოციური სიღრმით, მკაფიო დიქციით და საუცხოო ტემბრით. შესრულების მაღალ სტილთან ერთად მას აქვს ესტრადაზე თავის დაჭერის თავისებური და ორიგინალური მანერა: საჭიროა ეკა დუვალიანს არა მარტო უსმინონ, არამედ კიდევაც უყურონ, ვინაიდან ის არა მარტო საესტრადო მომღერალია ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, არამედ მომღერალი-აქტიორიც, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია არა მარტო მელოდია, სიმღერის ტექსტი და მუსიკალური ინტონაცია, არამედ ჟესტი და მიმიკაც.

დ. გველესიანი.

* * *

სურათზე: სომხეთის საესტრადო ორკესტრი. სოლისტი ეკა დუვალიანი გიტარაზე საკუთარი აკომპანემენტით ასრულებს პოპულარულ კუბურ სიმღერას „პინგვინს“.

ფოტო შ. გოქაძისა.

„ტყეთა მგრძანებელი“

ამ სათაურით გამომცემლობა „Ditz“-მა გერმანულ ენაზე ახლახან გამოსცა დავით ბაქრაძის ცნობილი, უკვე მრავალ ენაზე თარგმნილი წიგნი „გმირთა სიხსნით“.

გამოცემის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ქართველი მწერლის, საბჭოთა კავშირის გმირის დავით ბაქრაძის წიგნი მოგვითხრობს ერთი დიდი შენაერთის, — კოპაკის სახელგანთქმული პარტიზანული შენაერთის დაუვიწყარი დღეების შესახებ. თვით ავტორი ამ პარტიზანული შენაერთის ერთ-ერთი რაზმის წევრი იყო“...

„პარტიზანები უმთავრესად უკრაინასა და ბელორუსიაში მოქმედებდნენ. მათ ბრძოლით განვლეს პრიპიატის ჭაობები, ტყეთა უზარმაზარი მასივები, დნეპრის დაბლობები და კარპატის მთების უგზო ფერდობები. განუწყვეტელი ბრძოლა თვითეული პარტიზანისაგან მოითხოვდა ვაუკაცობის, თავდადების, ამტანობისა და მხნეობის მაქსიმუმს“...

„წიგნი მკითხველს იტაცებს თხრობის ხიცხოვლით. მას უშუალოდ შეჰყავხართ დიდ პარტიზანულ ოჯახში, სადაც გამეფებულია ამხანაგობისა და კოლექტივიზმის მტკიცე გრძნობა. მკითხველი თვალსათლივ ხედავს და განიცდის უბრალო ადამიანთა გმირობას, რომელიც იშვა და გამოიწრთო საკუთარი სამშობლოს მიწაწყალზე შემოჭრილ ფაშისტ მტაცებლებთან თავგანწირულ ბრძოლებში“...

„ბაქრაძის თხრობის ენა დამაჯერებელი და სადაა. იგრძნობა, რომ ყველაფერი, რაც ამ წიგნშია აღწერილი, თვით უხილავს და უშუალოდ განუცდია მის ავტორს“.

დავით ბაქრაძის წიგნის გარეკანი.

კ. გოლდონის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო

საბჭოთა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა გამოჩენილი იტალიელი დრამატურგის კარლო გოლდონის დაბადების 250-ე წლისთავი.

26 თებერვალს საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და უცხოერთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ რუსთაველის სახელობის თეატრში გამართა კ. გოლდონის დაბადების 250-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. ვასაძემ. იტალიელი დრამატურგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცელი მოხსენება წაიკითხა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ა. ფაღავამ.

შემდეგ წარმოდგენილ იქნა რუსთაველის სახელობის თეატრის რეპერტუარის ძველი და საუკეთესო დადგმა — კ. გოლდონის პიესა „საპატარძლო აფიშით“. ეს სპექტაკლი პირველად წარმოდგენილ იქნა 1942 წლის 29 დეკემბერს. მისი დადგმა განახორციელეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა რეჟისორმა დ. ალექსიძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მხატვარმა ი. გამრეკელმა და კომპოზიტორმა რ. გაბიჩვაძემ.

14 წლის მანძილზე ეს სპექტაკლი მრავალმა მაყურებელმა ინახულა. 26 თებერვალს იგი 172-ედ იქნა წარმოდგენილი.

სასკოლო თემაზე

გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში

ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ბევრ ქალაქში სკოლებთან გახსნილია გახანგრძლივებული დღის ჯგუფები ანუ, როგორც მათ უწოდებენ, ნახევრადინტერნატები. ლენინგრადში ასეთი ჯგუფები გახსნილია ჯერ კიდევ 1945 წლიდან. არის ისეთი ქალაქები, როგორც, მაგალითად, გროდნო, სადაც ყველა სკოლასთან არსებობს ასეთი ჯგუფები. მათი გახსნის მიზანია იმ ბავშვების აღზრდის გაუმჯობესება, რომლებიც სახლში სათანადო მეთვალყურეობას მოკლებული არიან მშობელთა სამუშაოზე ყოფნის გამო.

პედაგოგთა და მშობელთა ინიციატივით თბილისში გახსნილია ეგრეთწოდებული ნახევრადინტერნატები — 83-ე, 97-ე და 25-ე საშუალო სკოლებთან. საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამ ცოტა ხნის წინათ მიიღეს დადგენილება მოეწყოს სპეციალური ჯგუფები I—IV კლასების იმ მოსწავლეთა ნორმალური სასწავლო დროის გადამეტებით ყოფნისათვის სკოლებში, რომელთა მშობლებს საშუალება არა აქვთ უზრუნველყონ სათანადო მეთვალყურეობა ბავშვებისადმი სკოლიდან მათი დაბრუნების შემდეგ. ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს ბავშვთა აღზრდის საქმის გაუმჯობესებას.

83-ე სკოლის ნახევრადინტერნატისათვის ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულში გამოყოფილია მშვენიერი 3-ოთახიანი ბინა. საღარბაზო შესასვლელში სიჩუმეა. შევედით ნახევრადინტერნატში. შემოგვეგება სუფთად ჩაცმული მოხუცი ქალი. 83 წლის კლავდია პენიკოვას გახანგრძლივებული დღის ჯგუფში ბავშვთა მოვლა-პატრონობა აქვს დავალებული. იგი გემრიელ ფაფას უმზადებს ბავშვებს. „სახლში ბებია არა მყავს, სამაგიეროდ ჯგუფში მყავს“, — ეალერსება მას პატარა ლიალია.

პირველ ოთახში პატარა მაგიდებს უსხედან ბავშვები, რომლებიც გაკვეთილებს ამზადებენ. ფანჯრებზე გაქათქათებული ფარდები ჰკიდია. იქ ყვავილებით არის მორთული კუთხე, აქ კიდევ რადიორეპროდუქტორი დგას, გაკრულია სურათები, კედლის გაზეთები, განაწესი აღსაზრდელთათვის.

პირველკლასელმა ტოლია კნიაზევმა უკვე მოამზადა გაკვეთილები, გავიდა მეორე ოთახში, სადაც ამხანაგთან დაიწყო დომინოს თამაში. მან პატარა დები საბავშვო ბაღში წაიყვანა და თვითონ წამოვიდა ნახევრადინტერნატში. იგი მხიარულია. გული საგულეს აქვს — საშინაო დავალებები მოამზადა, ქარხნიდან მოსვლის შემდეგ დედამისი მოისმენს შვილის შთაბეჭდილებებს, ლექსს, რომელიც მან დაიზეპირა.

კოლია სტრუჩენკოვი სამზარეულოში დაფუსფუსებს, ალაგებს შუშას. დღეს საუზმედ სანუკვარი კერძი კეთდება და ღუმელში თანაბარი და ძლიერი ცეცხლი უნდა ენთოს. 83-ე საშუალო სკოლასთან არსებულ ნახევრადინტერნატში თითქმის ყველა საოჯახო სამუშაო სრულდება აღსაზრდელთა ძალებით, იქნება ეს ბოსტნის გაშენება, ნაკვეთის გაფართოება, იატაკის დასუფთავება, ყვავილების მორწყვა თუ ავეჯისათვის მტვრის მოცილება. გამოყოფილი არიან მორიგეები, რომლებიც სუფრას შლიან, ჭურჭელს რეცხავენ. ბავშვებს საჭმელს აქვე უმზადებენ.

სკოლის დირექცია დიდ ყურადღებას აქცევს ნახევრადინტერნატს. ყველაზე ადრე თბილისში ამ სკოლაში მოეწყო ნახევრადინტერნატი, რომელიც გასული წლის აპრილში გაიხსნა. აქ თვითეული ბავშვის შენახვა მშობელს თვეში 20 მანეთი უჯდება.

83-ე სკოლასთან არსებულმა გახანგრძლივებული დღის ჯგუფმა კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა სკოლის მთელ რიგ მოსწავლეთა როგორც დისციპლინის, ისე წარმატების ამაღლებაში. მაგალითად, თუ 1955-56 სასწავლო წლის პირველ მეოთხედში სკოლაში წარმატება 79 პროცენტს შეადგენდა, მიმდინარე სასწავლო წლის პირველ მეოთხედში 82 პროცენტს უდრიდა. იანვრის არდადეგების დროს ნახევრადინტერნატი განაგრძობდა ნორმალურ მუშაობას.

97-ე საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. მ. მხეიძე დიდი ხანია ფიქრობდა სკოლასთან ნახევრადინტერნატის გახსნაზე. პედაგოგიურმა კოლექტივმა ერთხმად მოიწონა ეს აზრი. გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისათვის მოხერხდა ერთი საკლასო ოთახის გამოყოფა.

და აი ნახევრადინტერნატმა მუშაობა დაიწყო. მართალია, პირველად აღმზრდელის შოვნა გაძნელდა, აღსაზრდელთა შემადგენლობაც დენადი იყო. ზოგჯერ დასწრება მცირე იყო, მაგრამ მალე მუშაობა კალაპოტში ჩადგა.

მშობლებს ძალიან მოსწონთ ახალი აღმზრდელი-პედაგოგი ა. ბაზნიკინი. იგი დიდი ხანი არ არის, რაც აქ მუშაობს, მაგრამ შეძლო იმის მიღწევა, რომ ბავშვებისაგან შეექმნა შეხმატკბილებული კოლექტივი, შეაყვარა მათ რთული თამაშობანი. ჯგუფი, რომელიც 9-დან 12 საათამდე მუშაობს, მან დაჰყო სამ რაზმად, თითოში შეიყვანა 7 კაცი. გამოჰყო სამი ცალკე „ეთაური“ — ნახევრადინტერნატის მეექვსეკლასელი აღსაზრდელები, რომლებიც ამოწმებენ, როგორ ამზადებენ პატარები გაკვეთილებს. შემდეგ კი ბაზნიკინი ამოწმებს.

მუშაობის პირველი დღეებიდანვე უკვე გამოირკვა, რომ მეტ წილ ბავშვებს, რომლებიც მანამდე მოკლებული იყვნენ სათანადო მეთვალყურეობას, არ ჰქონდათ სწორი ჩვევები საშინაო დავალებათა შესრულებაში. პირველ ხანს საშინაო სამუშაოთა შესრულებაზე დიდი დრო იკარგებოდა, ვინაიდან ზოგიერთ მოსწავლეს ორჯერ და სამჯერ უხდებოდა დავალების გადაკეთება. გაკვეთილების მომზადება ნაჩქარევად, დაუდევრად ხდებოდა.

ბავშვები თანდათანობით ეჩვევიან სამუშაოების შესრულებას არითმეტიკასა და წერაში, იზეპირებენ წესებსა და ლექსებს. მაგრამ საჭიროა ბავშვებმა შინაც იმუშაონ (ზეპირი კითხვა, კლასგარეშე კითხვა). სათანადო შენობის უქონლობის გამო ნახევრადინტერნატში ნაკლები ყურადღება ექცევა თვითმომსახურებას, შრომითი ჩვევების შეძენას.

იმ ბავშვების მშობლები, რომლებიც გახანგრძლივებული დღის ჯგუფში დადიან, აღმზრდელობითი მუშაობისათვის აქაც იხდიან თვეში ოც მანეთს, ხოლო თითო მანეთს — კვებისათვის.

ბავშვების აღზრდის საკითხით დაინტერესდა თბილისის მიქოიანის საოლქო ხორცკომბინატის საქარხნო კომიტეტი. მისი ინიციატივით კლუბთან გაიხსნა გახანგრძლივებული დღის ჯგუფის ტიპის „საბავშვო ოთახი“. ეს საკირო წამოწყება ისე მოეწონათ მშობელ მუშებს, რომ ამის შესახებ წერილი მოათავსეს კომბინატის კედლის გაზეთში. მუშების შრომის ნაყოფიერება გაიზარდა. მათ ახლა თავისუფლად შეუძლიათ იმუშაონ: მათი ბავშვები უმეთვალყუროდ არ დადიან. მაგრამ ხორცკომბინატთან არსებული „საბავშვო ოთახის“ მუშაობას ნაკლოვანებებიც აქვს. ბავშვები საჭმელს ჭამენ „ოთახის“ გარეთ, თვითეული თავის სახლში. სახლში კი ყველას როდი აქვს მომზადებული საჭმელი „ოთახიდან“ დაბრუნების ან „ოთახში“ წასვლის დროს. ახლო მომავალში ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

თბილისის სტალინის რაიონში 25-ე რუსულ საშუალო სკოლასთან გახანგრძლივებული დღის ჯგუფის ტიპის „საბავშვო ოთახი“. ეს საკირო წამოწყება ისე მოეწონათ მშობელ მუშებს, რომ ამის შესახებ წერილი მოათავსეს კომბინატის კედლის გაზეთში. მუშების შრომის ნაყოფიერება გაიზარდა. მათ ახლა თავისუფლად შეუძლიათ იმუშაონ: მათი ბავშვები უმეთვალყუროდ არ დადიან. მაგრამ ხორცკომბინატთან არსებული „საბავშვო ოთახის“ მუშობას ნაკლოვანებებიც აქვს. ბავშვები საჭმელს ჭამენ „ოთახის“ გარეთ, თვითეული თავის სახლში. სახლში კი ყველას როდი აქვს მომზადებული საჭმელი „ოთახიდან“ დაბრუნების ან „ოთახში“ წასვლის დროს. ახლო მომავალში ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

თბილისის სტალინის რაიონში 25-ე რუსულ საშუალო სკოლასთან გახანგრძლივებული დღის ჯგუფის ტიპის „საბავშვო ოთახი“. ეს საკირო წამოწყება ისე მოეწონათ მშობელ მუშებს, რომ ამის შესახებ წერილი მოათავსეს კომბინატის კედლის გაზეთში. მაგალითად, ნახევრადინტერნატის მუდმივი სტუმარია მე-17 ქართული სკოლის პირველკლასელი გულბათ მგალობლიშვილი.

გახსნის პირველივე დღიდან აღნიშნული ნახევრადინტერნატი კარგად მუშაობს, დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას. ბავშვებისათვის სისტემატურად ეწყობა მხატვრული კინოფილმების ჩვენება. პედაგოგი-აღმზრდელი ამხ. აზატოვა ბავშვებთან მუშაობის ახალ ფორმებს ეძებს. დასვენების დღეს მას ზოგჯერ ბავშვები მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაჰყავს, რათა მშობლებს ოჯახში საშუალება ჰქონდეთ თავიანთი საქმეები დაუბრკოლებლად მოაგვარონ.

აი მოკლედ რა შეიძლება ითქვას თბილისში არსებული გახანგრძლივებული დღის ჯგუფების შესახებ. ქების ღირსი არიან 25-ე, 83-ე, 97-ე სკოლების დირექციები, რომლებიც ამ კეთილშობილური საქმის პიონერები გახდნენ, ქების ღირსი არიან ამ სკოლების აღმზრდელი-პედაგოგები, რომლებიც ენთუზიაზმით ასრულებენ ძნელ, მაგრამ კეთილშობილურ სამუშაოს.

გახანგრძლივებული დღის ჯგუფები ახლა დამკვიდრების პროცესშია. თუ დღემდე ამ ჯგუფების შექმნა ხდებოდა თვით საზოგადოებრიობის — მშობლებისა და პედაგოგების ძალებით, ამიერიდან ამ საქმეს ხელი მოჰკიდა სახელმწიფომ და იგი მტკიცედ წარიმართება წინ. სახალხო განათლების ორგანოები ამ კეთილშობილური საქმის მებრძოლი ორგანიზატორები უნდა გახდნენ და მიაღწიონ იმას, რომ თვითეულ სკოლაში იყოს გახანგრძლივებული დღის ჯგუფი.

ვ. ტოროზელიძე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

ბოლო მოეღოს ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევას სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში!

ნიუ-იორკი, 26 თებერვალი. (საკდესი). გუშინ დღის მეორე ნახევარში სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში გრძელდებოდა დისკუსია საკითხზე: ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საშინაო საქმეებში და მათი მტრული ძირგამომთხრელი საქმიანობა ამ ქვეყნების წინააღმდეგ.

დღის სხდომაზე პირველი გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი ი. ულრიხი.

ი. ულრიხის გამოსვლა

ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა დამსწრეთ მოაგონა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ მუდამ ცდილობდა და ცდილობს მხარი დაუჭიროს ყოველ ღონისძიებას, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, ყველა საერთაშორისო პრობლემის გადაჭრა მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, სახელმწიფოებს შორის უაღრესად ფართო თანამშრომლობის განვითარება.

უპასუხა რა ამერიკის დელეგატს ნოულენდს, რომელიც თავის სიტყვაში ცილს სწამებდა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს და ახირებულად ამტკიცებდა, თითქოს ეს ქვეყნები „იზოლირებული არიან“ დანარჩენი სამყაროსაგან, ულრიხმა განაცხადა, რომ ასეთი მტკიცება ემყარება უხეშ ფალსიფიკაციას. მან მოიყვანა ფაქტები, რომლებიც აბათილებენ ნოულენდის მონაჭორს და მოწმობენ ჩეხოსლოვაკიის, ისევე როგორც სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების, მზარდ საერთაშორისო თანამშრომლობას. ჩეხოსლოვაკიაში მოდიან სხვადასხვა ქვეყნის ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვაწეები, მეცნიერების, კულტურის მოღვაწეები, ათეულთასობით ტურისტი კაპიტალისტური ქვეყნებიდან.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები უშლიან ხელს კულტურულ, მეცნიერულ და სხვა თანამშრომლობას სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან. ბოლო დრომდე, თქვა მან, ამერიკელ მოქალაქეებს საერთოდ აკრძალული ჰქონდათ სოციალისტურ ქვეყნებში გამგზავრება და ახლაც კი ამერიკის ხელისუფალნი უკრძალავენ მათ ზოგიერთ ამ ქვეყანაში გამგზავრებას.

შემდეგ ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო დაძაბულობის დასახული შენელება წაიწყდა დასავლეთის ქვეყნების, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების, მმართველი წრეების იმ ნაწილის ძლიერ წინააღმდეგობას, რომელიც მრავალი წლის მანძილზე აღვივებდა „ცივ ომს“, იღებდა ან უდიდეს მოგებას გამალებული შეიარაღებით და ახალი ომისათვის მზადებით. ამ წრეების მტრული საქმიანობა, თქვა მან, მიმართულია უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, მათი კავშირისა და თანამშრომლობის წინააღმდეგ. ამავე დროს იგი მიმართულია იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური უღელი და ამეამად იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამასთან დაკავშირებით ულრიხმა გაიხსენა ინგლისი-საფრანგეთ-ისრაელის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, იმპერიალისტური წრეების მიერ მოწყობილი კონტრრევოლუციური პუტჩი უნგრეთში, აგრეთვე ამერიკის ახალი გეგმები, რომელთა მიზანია ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების დამონება. ეგრეთწოდებული „ეიზენჰაუერის დოქტრინა“, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა, — არის ახალი გამოვლინება ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკისა, მსოფლიო ბატონობის მიღწევისადმი მისწრაფებით შთაგონებული.

ულრიხი დაწვრილებით შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების ძირგამომთხრელ საქმიანობას ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წინააღმდეგ. განვლილი წლის მანძილზე, თქვა მან, ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ არაერთხელ განუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას პროტესტები ჩარევის ცდებისა და მტრული მოქმედების გამო, რომლებიც მიმართული იყო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის უშიშროების წინააღმდეგ.

საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების სხვადასხვა პერიოდში, განაგრძო ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა, სჯარობდა ამერიკის ჩარევის სხვადასხვა ფორმა. საერთაშორისო დაძაბულობის დროებითი შენელების პერიოდშიც კი ამერიკის შეერთებულ შტატებს არ შეუწყვეტიათ თავიანთი მტრული მოქმედება და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა. მეტად დამახასიათებელია, რომ სწორედ იმ პერიოდში, როცა სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცების პერსპექტივები გაუჩნდათ, ამერიკის შეერთებული შტატები ამზადებდნენ ჩარევის ყველაზე უხეშ ფორმებს— ისინი ამზადებდნენ და აწყობდნენ სამხედრო ინტერვენციას.

ორი წლის წინათ, თქვა ულრიხმა, ამერიკის რადიომ გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში დასავლეთ გერმანიაში შეიქმნა ეგრეთწოდებული ჩეხოსლოვაკიის ნაწილი, რომელიც შეადგენეს სისხლის სამართლის დანაშავეთაგან და ჩეხოსლოვაკიისადმი სხვა მტრული ელემენტებისაგან. ჩვენს ქვეყანაში არავის არ ეპარება ეჭვი, განსაკუთრებით უნგრეთის ამასწინანდელი ამბების მიხედვით, თუ რა არის ჭეშმარიტი დანაშნულება ამ დაქირავებული ნაწილისა, ისევე როგორც სხვა სამხედრო ქვეგანაყოფებისა, რომლებიც შედგენილია თავიანთი ქვეყნებიდან გაქცეული ელემენტებისაგან. ახლა ყველასთვის ცნობილია, რომ უნგრეთის რეაქციის მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა დასავლეთის იმპერიალისტურ ძალებთან. უცხოეთის ჩარევის კვალს მივაყავართ ამერიკის დაზვერვის ცენტრში და მის ფილიალებში დასავლეთ გერმანიაში, რომლებსაც უხვად აფინანსებენ იმ სახსრებით, რომლებიც ამერიკის კონგრესს ასიგნებული აქვს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ დივერსიულ-ჯაშუშური საქმიანობისათვის.

ულრიხმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ წყვეტენ თავიანთ მტრულ საქმიანობას ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ. აგენტები, რომლებსაც ამერიკის ხელისუფლები გზავნიან, გადადიან ჩეხოსლოვაკიის საზღვრებს და სჩადიან სხვადასხვა დანაშაულს, როგორიც არის ჯაჯუშობა, საბოტაჟი, ცეცხლის წაკიდება და სხვ. ისინი არც პირდაპირ მკვლელობას ერიდებიან. ჩეხოსლოვაკიის ათობით მშვიდობიანი მოქალაქე უკვე გახდა მათი დანაშაულებრივი საქმიანობის მსხვერპლი. ამ უკანასკნელ ხანს ამერიკის დაზვერვამ შესამჩნევად გააძლიერა მტრული მოქმედება ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ. გასული წლის მანძილზე ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს მრავალი ჯაშუში და დივერსანტი, რომლებიც გამოგზავნეს დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე მოქმედმა ამერიკის სადაზვერვო ორგანოებმა, დადიდა აგრეთვე იმ შემთხვევათა რიცხვი, როცა ამერიკის ჯაშუშური სამსახურის მიერ ლტოლვილთა ბანაკებიდან გადაბირებული პირები თავად ნებდებიან ჩეხოსლოვაკიის უშიშროების ორგანოებს.

ი. ულრიხმა მოიყვანა მთელი სია დასავლეთ გერმანიაში ჯაშუშებისა და დივერსანტების მოსამზადებელი სხვადასხვაგვარი ცენტრებისა, რომელებსაც ამერიკელები აფინანსებენ.

შემდეგ მან აღნიშნა, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, და კერძოდ, ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევიან ამერიკის ეგრეთწოდებული „კერძო“ ორგანიზაციები, როგორიც არიან „კომიტეტი თავისუფალი ევროპისათვის“, „ჯვაროსნული ლაშქრობა თავისუფლებისათვის“ და სხვები. ნამდვილად ყველა ეს ორგანიზაცია ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალთა ოფიციალური მხარდაჭერით სარგებლობს. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის აქტიურ იარაღად ფართოდ იყენებენ აგრეთვე რადიოსადგურებს, რომლებიც დახლოვნებული არიან ცილისწამებაში, სიცრუეში და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ წაქეზებაში.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი აგრეთვე დაწვრილებით შეეხო იმას, რომ შეერთებული შტატები არღვევენ ჩეხოსლოვაკიის საჰაერო სივრცეს საჰაერო ბურთების დაშვების გზით, რაც ძირგამომთხრელ მიზნებს ისახავს.

ჩეხოსლოვაკიის ხალხს და მის მთავრობას, განაგრძო ულრიხმა, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წინააღმდეგობა გაუწიონ უცხოეთის ჩარევის ყოველ ცდას. ამერიკის შეერთებული შტატების ცდები — წაიქეზონ არეულობა და დაარღვიონ ჩეხოსლოვაკიის მშვიდობიანი განვითარება — იფუშებოდა და ახლაც იფუშება.

ამერიკის შეერთებული შტატების ძირგამომთხრელი საქმიანობა სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ, განაცხადა დასასრულ ულრიხმა, შეუთავსებელია იმ პრინციპებთან, რომლებიც უნდა დაუდოს საფუძვლად სხვა სახელმწიფოებთან თავის ურთიერთობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრმა ამ ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვერ უგულებელყოფს ამ მდგომარეობას, რომელიც საფრთხეს ქმნის. გენერალურმა ასამბლეამ უნდა დაგმოს ამერიკის შეერთებული შტატების მტრული მოქმედება და მოითხოვოს, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ შეწყვიტოს თავისი ძირგამომთხრელი საქმიანობა და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევა და თავისი ურთიერთობა ამ სახელმწიფოებთან ააგოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შესაბამისად. ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა მოუწოდა ხმა მისცენ რეზოლუციის პროექტს, რომელიც სსრ კავშირის დელეგაციამ წარადგინა.

შემდეგ გამოვიდა ბულგარეთის წარმომადგენელი მ. ტარაბანოვი.

მ. ტარაგანოვის გამოსვლა

შემთხვევითი არ არის, თქვა ბულგარეთის წარმომადგენელმა, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევისა და ამ ქვეყნების წინააღმდეგ ამერიკის ძირგამომთხრელი საქმიანობის საკითხს სესია სულ ბოლოს განიხილავს. ეს მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის პირდაპირი ზეგავლენით, დელეგაციისა, რომელიც ისწრაფვის შეკვეცოს ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხი. ამ საკითხის დიდ მნიშვნელობას თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე არ გასულა არც ერთი კვირა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ ეწარმოებინოთ ძირგამომთხრელი მოქმედება სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ამ მოქმედებას განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიეცა უკანასკნელ ხანს, და კერძოდ, უნგრეთის ამბების დროს. სწორედ ამით აიხსნება, რომ ეს საკითხი გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე დაისვა.

ამერიკის მმართველი წრეები, განაცხადა ტარაბანოვმა, ყოველ შესაძლებლობას იყენებენ დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატები მალავენ ფაშისტ გარეწრებს, რათა შექმნან მათგან ბანდები და კვლავ შემოგზავნონ ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოებში.

ბულგარეთის წარმომადგენელი დაწვრილებით შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების ძირგამომთხრელ საქმიანობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბულგარეთის წინააღმდეგ. მოიყვანა რა მრავალი მონაცემი, მათ შორის თვითონ ამერიკის აგენტების ჩვენებაც, რომლებიც შეიპყრეს ან რომლებმაც დანაშაული აღიარეს, მან დაანახვა დამსწრეთ მხეცური სახე ამერიკის იმპერიალიზმის აგენტებისა, რომლებიც არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, რა საზიზღარიც უნდა იყოს იგი.

გარდა პირდაპირი ძირგამომთხრელი საქმიანობისა, განაგრძო ტარაბანოვმა, შეერთებული შტატები ფართოდ მიმართავენ დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლის პრაპაგანდისტულ ფორმებს. ამერიკის რადიოსადგურები, როგორიც არის „რიასი“, „თავისუფალი ევროპა“, და „ამერიკის ხმა“, მოურიდებლად მოუწოდებენ დემოკრატიული ქვეყნების ხალხებს საბოტაჟის აქტებისაკენ, კანონიერი ხელისუფლებისადმი აქტიური და პასიური წინააღმდეგობისაკენ და აჯანყებებისაკენაც კი. ასეთი ძირგამომთხრელი „გადაცემა“ ბულგარეთისათვის, აღნიშნა ტარაბანოვმა, 16 საათსა და 40 წუთს წარმოებს დღეღამეში. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს ეს რადიოსადგურები დასახოს კერძო ორგანიზაციებად, რომლებიც მასზე დამოკიდებული არ არიან. მაგრამ არ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, რომ რადიოსადგური „ამერიკის ხმა“, რომელიც ამერიკის მთავრობისაგან იღებს სუბსიდიას, მისი უშუალო კონტროლითა და ხელმძღვანელობით მოქმედებს.

დიდძალ ძირგამომთხრელ ლიტერატურას ყრიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში საჰაერო ბურთების საშუალებითაც.

უკანასკნელ წლებში, ხაზგასმით აღნიშნა ბულგარეთის წარმომადგენელმა, ამერიკის შეერთებული შტატები იყენებენ დიდ საჰაერო ბურთებს, რომლებსაც გარდა პროოკაციული ფურცლებისა სხვადასხვა დაზვერვითი აპარატურაც მოაქვთ. ამერიკის წარმომადგენლები ცდილობენ ამტკიცონ, რომ ამ ბურთებს თითქოს „მეცნიერული“ მიზნით უშვებენ. მაგრამ ამ ბურთების გულმოდგინე შესწავლა ცხადყოფს, რომ ისინი განკუთვნილია უწინარეს ყოვლისა დაზვერვითი ინფორმაციის შესაგროვებლად. თუ რა ფართო მასშტაბი მიეცა ახლა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და სსრ კავშირის საჰაერო სივრცეებში ასეთი საჰაერო ბურთების შემოგზავნის კამპანიას, ამას ის ფაქტი მოწმობს, რომ მარტო ბულგარეთის ფარგლებში 1954-1956 წლებში ჩამოაგდეს ან თვითონ დაეშვა 1.750 ასეთი ბურთი.

ბულგარეთის წარმომადგენელმა მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ შეერთებული შტატები უხეშად არღვევენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს და მათ მიერ დადებულ ხელშეკრულებებს. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, თქვა მან, არა მარტო თვითონ არ აუმჯობესებს ურთიერთობას ბულგარეთთან, არამედ ისწრაფვის შეარყიოს ბულგარეთის ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან.

ყოველივე ეს, ხაზგასმით აღნიშნა მან, ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანია საკითხი, რომელიც საბჭოთა კავშირმა დააყენა, და რომ საჭიროა დადებითად იქნას განხილული წარმოდგენილი რეზოლუცია. თავის მხრივ ბულგარეთის მთავრობა ერთხელ კიდევ აცხადებს, რომ მზად არის კარგი ურთიერთობა იქონიოს ყველა ქვეყანასთან ერთიმეორის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე.

შეეხო რა თავისი სიტყვის დასასრულს ამერიკის წარმომადგენლის გამოსვლას, ტარაბანოვმა ცხადყო საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ ნოულენდის „მოსაზრებათა“ მთელი უსაფუძვლობა.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების ძირგამომთხრელი საქმიანობის და მათი აგრესიული პოლიტიკის დასაცავად სხდომის დასასრულს გამოვიდა ჩანკაიშელი.

დღეს გაგრძელდება ამ საკითხის განხილვა.

საბჭოთა კავშირ-ირანის ერთობლივი კომუნიკე საბჭოთა კავშირ-ირანის სახელმწიფო საზღვრის დემარკაციისა და რედემარკაციის საკითხთა სსრ კავშირისა და ირანის შერეული კომისიის მუშაობის შესახებ

სასაზღვრო და საფინანსო საკითხების მოწესრიგების შესახებ სსრ კავშირსა და ირანს შორის 1954 წლის 2 დეკემბრის შეთანხმების შესაბამისად სსრ კავშირსა და ირანს შორის საზღვრის დემარკაციისა და რედემარკაციის საკითხთა სსრ კავშირისა და ირანის შერეულმა კომისიამ მოახდინა საბჭოთა კავშირ-ირანის სახელმწიფო საზღვრის რედემარკაცია სსრ კავშირის, ირანისა და თურქეთის საზღვრების შესაყარიდან სსრ კავშირის, ირანისა და ავღანეთის საზღვრების შესაყარამდე, 2.000-მდე კილომეტრ მანძილზე, ხოლო ფუღანის, დემავნის, ედი-ევლიარისა და სერახსის უბნებზე 73 კილომეტრ საერთო მანძილზე დაწესა საზღვრის ახალი ხაზი.

საზღვრის ახალი ხაზი დაწესებულია აგრეთვე ათრექის უბანზე, სადაც მოსდა საზღვრის ხაზის გასწორება 30 კილომეტრამდე მანძილზე კასპიის ზღვის აღმოსავლეთი ნაპირიდან სიგრი-თეფეს (სენგერ-თეფე) ბორცვამდე.

ამგვარად საბჭოთა საზღვარი სსრ კავშირსა და ირანს შორის მთელ მის სიგრძეზე ზუსტად განსაზღვრულია ადგილზე, აღნიშნულია სასაზღვრო ნიშნებით, დაწვრილებით აღწერილია და შეტანილია რუკებზე.

იმის შედეგად, რომ წარმატებით მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვრის დემარკაციისა და რედემარკაციის დამთავრების საშუშაოები, რომლებსაც სსრ კავშირისა და ირანის შერეული კომისია აწარმოებდა, საბჭოთა კავშირისა და ირანის მხარეებმა, ხელმძღვანელობდნენ რა საბჭოთა კავშირისა და ირანის ხალხთა ტრადიციული მეგობრობით, აგრეთვე ითვალისწინებდნენ რა ურთიერთ ინტერესებს, მიმართულს სსრ კავშირისა და ირანის კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისაკენ, 1957 წლის იანვარსა და თებერვალში განახორციელეს, აღნიშნული შეთანხმების 1 მუხლის თანახმად, გადაცემა და მიღება ზემოთ ჩამოთვლილი მიწის ნაკვეთებისა, სადაც დაწესებულია საბჭოთა კავშირ-ირანის სახელმწიფო საზღვრის ახალი ხაზი.

მიწის ნაკვეთების გადაცემა-მიღება გაფორმებულია ორმხრივი აქტებით, რომლებიც წარმადგენენ საბჭოთა კავშირ-ირანის სახელმწიფო საზღვრის დემარკაციისა და რედემარკაციის შემჯამებელი დოკუმენტების დანართს, რომელთა ხელმოწერა ამჟამად მთავრდება.

მიწის ნაკვეთების გადაცემა-მიღება და შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება მიმდინარეობდა მეგობრულ ვითარებაში.

მხარეები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირსა და ირანს შორის 1955-1956 წლებში განხორციელებული სასაზღვრების დემარკაციისა და რედემარკაციის და ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების გადაცემისა და მიღების შედეგად ამერიდან ყველა საკითხი, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო საზღვრის ხაზის გავლასთან მთელ მის მანძილზე, საბოლოოდ მოწესრიგებულია, ხოლო დავა და გაუგებრობა, რაც წარსულში ამ ნიადაგზე წარმოიშობოდა ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთობაში, მთლიანად ლიკვიდირებულია.

ამგვარად, სსრ კავშირისა და ირანის სასაზღვრო საკითხები გადაჭრილია ურთიერთ ხელსაყრელ საწყისებზე ორივე მხარის ინტერესებისათვის.

ამერიკა-საფრანგეთის მოღაპარაკება ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 26 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ დაიწყო მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურებს შორის. პრემიერ-მინისტრი გი მოლე თვრ საზლში შეხვდა პრეზიდენტ ეიზენჰაუერს. ამავე დროს სახელმწიფო დეპარტამენტში დალესი აწარმოებდა მოლაპარაკებას საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან კ. პინოსთან.

უძლიერესთა შეხვედრა

მსაჯთა კოლეგიამ ხუთდღიანი ბრძოლის შედეგი შეაჯამა. საქართველოს თავისუფალ მოჭიდავეთა ძლიერი კოლექტივი სულ რაღაც ორიოდე ქულით ჩამორჩებოდა ჩემპიონს. ლენინგრადელებს გამარჯვებას ულოცავდნენ, პრიზიც მათ მოიპოვეს.

ეს იყო არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, გასული წლის აგვისტოში, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მანეჟზე, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე.

ამის შემდეგ ლენინგრადისა და საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები კოლექტივების მატჩი ინტერესს როდი იჭენბოდა მოკლებული. და აი ეს დღე, ეს შეხვედრაც.

26 თებერვალი. თბილისის სახელმწიფო ცირკი. მისი იარუსები სტადიონს უფრო მოგვაგონებს. სალამოს 8 საათია. არენაზე გამოდიან ძველი მეტოქეები — ლენინგრადისა და საქართველოს ნაკრები გუნდები კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. მათ რიგებში ვხედავთ სსრ კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონებს, სპორტის დამსახურებულ ოსტატებს, მრავალ საერთაშორისო ასპარეზობაში სახელმოხვეჭილ მოჭიდავეებს.

როგორც წესი, შეჯიბრებას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი. გუნდების კაპიტნებმა გაცვალეს თასები და ვიმპელები. სპორტსმენთა პარადი დამთავრდა. დიქტორი ხალიჩაზე იხმობს კლასიკურ მოჭიდავეთა პირველ წყვილს.

ესენი იყვნენ უმჩატესი წონის სპორტსმენები ა. ანდრეევი (ლენინგრადი) და ო. ეგაძე. მოწინააღმდეგენი სწრაფად ეკვეთნენ ერთმანეთს, ო. ეგაძე უფრო აქტიურობს, იგი აკეთებს ორ ლამაზ ილეთს და, ბოლოს, 2 წუთსა და 35 წამში სუფთად იმარჯვებს. მომდევნო წყვილის (მჩატი წონა) შეხვედრის პირველი ექვსი წუთი უშედეგოდ დამთავრდა. ჩოქბაჯენში ლენინგრადის გუნდის წარმომადგენელი ი. კოლეიი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მისი მოწინააღმდეგე ი. ძებისაშვილი, და სუფთა გამარჯვება მოიპოვა 11 წუთსა და 5 წამში. ანგარიში გახდა 1:1.

საქართველოს გუნდს მორიგი გამარჯვება ჭულებით მოუპოვეს ქვემსუბუქი და მსუბუქი წონის მოჭიდავეებმა გ. ჩიტიაშვილმა და ა. ქორიძემ, რომლებმაც დაამარცხეს ო. გომანკოვი და ი. ელოგინი.

ქვეყანაშუალო და საშუალო წონაში ლენინგრადელებმა ორი გამარჯვება მოიპოვეს. ი. პოტაპოვმა ჭულებით მოუგო გ. ჯულუხიძეს, ხოლო სპორტის ოსტატმა ვ. კირსანოვმა ორი ლამაზი ილეთის შემდეგ 3 წუთში სუფთა გამარჯვება მოიპოვა ვ. ვაჭარაძესთან.

ანგარიში კვლავ გათანაბრდა — 3:3.

მატჩის ბედს წყვეტდა უკანასკნელი ორი წყვილის — ქვემძიმე და მძიმე წონის მოჭიდავეთა შეხვედრა. ესენი იყვნენ ნ. კულაგინი და გ. კარტოზია, ვ. ანსიმოვი და რ. აბაშიძე. ამჯერად გ. კარტოზიას ქვემძიმე წონაში ვხედავდით. ამასთან მოწინააღმდეგე მასზე მეტს იწონიდა. ბრძოლა მსოფლიოს ჩემპიონის უპირატესობით წარიმართა. მოწინააღმდეგის პასიური ქცევებისა მიხედვით, გ. კარტოზია აკეთებს რსტრატულ ილეთს, ნ. კულაგინი ამაკარა დამარცხებას ერიდება, მაგრამ აქ მან [illegible] ეტაპიც, კერძოდ, ბრძოლა ჩოქბაჯენში საქართველოს გუნდის წარმომადგენლის აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა და გამარჯვება მასვე მიეკუთვნა. მძიმე წონაში ვ. ანსიმოვმა წაიგო რ. აბაშიძესთან.

ამრიგად, კლასიკურ მოჭიდავეთა ეს საინტერესო შეხვედრა დამთავრდა საქართველოს გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 5:3.

იწყება შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. პირველ წყვილად ხალიჩაზე ვხედავთ ლენინგრადის ოლიმპიადაში გამარჯვებულს, უმჩატესი წონის სპორტსმენს ზ. ცალქალამანიძეს და ვ. ზაიაევს. ორთაბრძოლა სწრაფი და მიმზიდველი იყო. აქ მაყურებლები ხედავდნენ სპორტსმენთა მაღალ ოსტატობას, შეუპოვრობას. ზ. ცალქალამანიძეს ორჯერ არ ჩაეთვალა სუფთა გამარჯვება. ჭიდაობის დრო ამოიწურა. ზ. ცალქალამანიძის გამარჯვება ქულებით ეჭვს არ იწვევდა. შეხვედრა მოიგო საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა. ი. ზამიატნინმა (მჩატე წონა) ქულებით დაამარცხა ა. მაისურაძე.

ქვეყანაშუალო წონაში ვ. ბალავაძის წინააღმდეგ გამოვიდა ვ. შირიაევი. მაგრამ ლენინგრადელი სპორტსმენი მეტწილად ხალიჩის გარეთ იმყოფებოდა, გაურბოდა ვ. ბალავაძეს. ვ. შირიაევმა მიიღო ორი გაფრთხილება და პასიური ჭიდაობისათვის მოიხსნა შეჯიბრებიდან. ვ. ბალავაძეს გამარჯვება ჩაეთვალა.

უ. ბარნაბიშვილმა (ქვემსუბუქი წონა) და ს. ტაბარაევმა (მსუბუქი წონა) ქულებით მოუგეს ე. მარკოვიჩსა და ი. ფეიგინს. მოწინეგა დამსახურა გ. სხირტლაძის (საშუალო წონა) აქტიურმა ჭიდაობამ ვ. კამბაროვთან. ჩოქბაჯენში ლამაზი ილეთის შემდეგ გ. სხირტლაძემ სუფთა გამარჯვება მოიპოვა.

შ. დაუშვილმა (ქვემძიმე წონა) სუსტად ჩაატარა ბრძოლა ა. ალბულთან და წაიგო შეხვედრა. ო. კანდელაკმა (მძიმე წონა) სუფთად მოუგო ა. ივანიცკის.

მატჩის საერთო შედეგია 6:2 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ.

ვ. ბაბელია.

* * *

სურათზე: *კლასიკურ ჭიდაობაში ა. ქორიძისა და ი. ელიგინის შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.* ფოტო ვ. გინზბურგისა.

ახალი პავილიონი საკოლმეურნეო ბაზარში

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში გაიხსნა ხორცის გასაყიდი ახალი დახურული პავილიონი, რომელსაც 130-ზე მეტი კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს და გათვალისწინებულია 50 გამყიდველისათვის. პავილიონის კედლები და იატაკი მოპირკეთებულია კაფელით, ხოლო დახლები— თეთრი მარმარილოთი და გადახურულია მინით. ყველა გასაყიდ ადგილს აქვს კარადა.

უახლოეს ხანში ამ საკოლმეურნეო ბაზარში გაკეთდება ახალი დახურული კეთილმოწყობილი პავილიონი დაკლული ფრინველის, კვერცხისა და ცხიმის გასაყიდად.

აღსანიშნავია, რომ ამ საკოლმეურნეო ბაზარმა გასულ წელს გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის — საფინანსო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისა და სისუფთავის დაცვისათვის — მიიღო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და სახვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა.

ზონალური შეხვედრები კრივში

სსრ კავშირის პირადი პირველობის გათამაშებია ფინალს, რომელიც მოსკოვში გაიმართება, ზონალური ზონალური შეხვედრები. ზონალური შეხვედრები მოეწყო ბაქოში, ხარკოვში, სვერდლოვსკსა და რიგაში. მათში მონაწილეობა მიიღო ასობით უძლიერესმა მოკრივემ. ამ შეხვედრებმა ცხადყო ახალგაზრდობის მზარდი დაოსტატება, მაღალი ბრძოლისუნარიანობა.

საქართველოს მოკრივეები იბრძოდნენ ბაქოსა და ხარკოვის ზონაში. ხარკოვის ზონაში მონაწილე საქართველოს მოკრივეებიდან ფინალში ვერც ერთი ვერ გავიდა. მძაფრი ბრძოლით ხასიათდებოდა შეხვედრები რიგაზე ბაქოში. აქ სხვადასხვა ქალაქების წარმომადგენლებთან ერთად დასკვნითს ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ქვემსუბუქი წონის მოკრივემ ლ. ასატუროვმა და სპორტის ოსტატმა გ. დარბაისელმა (პირველი ქვესაშუალო წონა).

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

ტელეგადაცემათა 28 თებერვლის პროგრამა

20.00 — კონცერტი ბავშვებისათვის. 20.25 — კინონარკვევი „ადამიანი და მხეცი“. 20.35 — გადაცემა ციკლიდან „მსოფლიოს რუკასთან“ — ინდოეთი (ტურისტის შთაბეჭდილებები და დოკუმენტალური ფილმი „ინდოეთის დილა“).

დაიწყო ხელის მოწერა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ჟურნალზე „Вопросы истории КПСС“. ჟურნალში დაიბეჭდება სამეცნიერო სტატიები, ლექციები, მოხსენებები სკკპ, მოძმე კომუნისტური მუშათა პარტიების, მუშათა საერთაშორისო მოძრაობის ისტორიიდან.

„სოიუზპეჩატი“

ᲓᲦᲔᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — გორდა, **რუსთაველის სახელობის** — ფილოსოფიის დოქტორი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ხეები კვდებიან ზეზეულად, **გრიბოედოვის სახელობის** — ფილმენა მარტურანო, **სომხური დრამის** — ქამო, **მუსიკალური კომედიის** — სიყვარულის კვანძი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — პრინცესა ტურანდოტი (აბონემენტი № 9, 10 ს.), **უდანაშაულო დამნაშავენი** (აბონემენტი № 31, 7 ს.), **თოჯინების ქართული** — თოვლის პაპა (11 ს.), **ფილარმონია** — სომხეთის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (ძერჟინსკის სახელობის კლუბი, 9 ს.).

**ᲓᲔᲓᲐ ᲛᲐᲨᲝ, ᲫᲛᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲓᲔᲜ, ᲡᲐᲜᲓᲠᲝ, ᲓᲔᲑᲘ ᲥᲣᲜᲘᲐ, ᲜᲐᲓᲘᲐ, ᲗᲐᲛᲐᲠ, ᲠᲩᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲘ, ᲜᲘᲜᲐ